

გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის  
მიერ დაფინანსებული  
შავი ზღვის გალურჯების რეგიონული  
პროექტი  
(P173890)

ტექნიკური დავალება  
სტრატეგიული გარემოსდაცვითი და  
სოციალური შეფასებისათვის

შესწორებული სამუშაო ვერსია

2021 წლის აგვისტო

## შინაარსი

შავი ზღვის გალურჯების პროგრამა .....	1
გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის რეგიონული პროექტი (P173890) .....	1
ტექნიკური დავალება სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასებისათვის 1	
1. შესავალი და საკითხის ისტორია .....	1
2. მიმოხილვა .....	2
2.1 რეგიონული მიმოხილვა .....	2
2.2 დარგობრივი მიმოხილვა .....	4
2.3 ინსტიტუციური მიმოხილვა .....	5
3. პროექტის მიმოხილვა და მისი კომპონენტები ნაწილები .....	7
3.1 პროექტის კომპონენტი 1 – დაბინძურების პრევენციასა და შემცირებაში ინვესტირების ეკონომიკური ასპექტი .....	7
3.2 პროექტის შემადგენელი ნაწილი 2 - ბიზნესისა და ინვესტირების, ასვე ეკოლოგიური და ინოვაციური დაფინანსების მდგრადი სტანდარტები .....	9
3.3 პროექტის შემადგენელი ნაწილი 3 - პროექტის მართვა .....	12
4. სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების მიზნები და მიდგომები 12	
4.1 სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების მიზნები .....	13
4.2 სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესების განხორციელების მიდგომები .....	14
5. სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების საკანონმდებლო ჩარჩო 16	
5.1 მსოფლიო ბანკის სტანდარტები და მითითებები .....	16
პროექტის ფარგლებში აქტივობები ჩატარდება თურქეთში, სქართველოში, უკრაინასა და მოლდოვაში. ვინაიდან პროექტის განხორციელების პასუხისმგებლობა დაკისრებულია შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციაზე, თითოეულ ქვეყანაში პროექტის განხორციელების პროცესში, შესაბამის აქტივობებს კოორდინაციას გაუწევენ ადგილობრივი სააგენტოები. ....	19
5.2 სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების ეროვნული კანონმდებლობა და პროცესები .....	20
6. საპროექტო სამუშაოების მოცულობა .....	23
6.1 წინასწარი საპროექტო კვლევა .....	24
6.1.1 საინვესტიციო გეგმის აღწერა და პოლიტიკის, ინსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩოს მიმოხილვა .....	24

6.1.2	საბაზისო ინფორმაცია მოცულობის აღწერა. საბაზისო ინფორმაციის შეგროვება.....	25
6.1.3	ძირითადი ასპექტების დადგენა (ზემოქმედებისა და ალტერნატიული ვარიანტების ტიპები) რომლებსაც შეისწავლის სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება.....	25
6.1.4	ძირითად დაინტერესებულ მხარეთა აღწერა და მათი ჩართულობა/კონსულტაციები .....	26
6.1.5	სამუშაოების მოცულობის შეფასების ანგარიში .....	27
6.2	სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების კვლევა.....	27
6.2.1	საკვანძო გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების დადგენა და საწყისი პირობების ჩამოყალიბება.....	27
6.2.2	გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასება და შემარბილებელი ზომების შემუშავება .....	29
6.2.3	ალტერნატიული ვარიანტების შეფასება.....	30
6.2.4	დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა და საჯარო კონსულტაციები .....	31
6.2.5	სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების ანგარიში.....	32
7.	კონსულტანტის კვალიფიკაცია და სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების შემადგენლობა .....	33
8.	შედეგები და სამუშაო გეგმა/გრაფიკი .....	34

## 1. შესავალი და საკითხის ისტორია

შავი ზღვა თითქმის ჩაკეტილი და ზონალურად წაგრძელებული აუზია, რომელიც დაკავშირებულია ეგეოსის ზღვასთან, თურქეთის სრუტეებით. შავ ზღვას ესაზღვრება უკრაინის, რუმინეთის, ბულგარეთის, თურქეთის, საქართველოს და რუსეთის სახელმწიფოები. შავ ზღვაში რამდენიმე მსხვილი მდინარე ჩაედინება; ისეთი, როგორც არის დუნაი, დნეპრი, დონი, რიონი, კოდორი, ენგური, ჭოროხი, ყიზილ-ირმაქი, იესილ-ირმაქი, საქარია, სამხრეთის ბუგი და დნესტრი. ისინი მოედინებიან წყალგამყოფ ხაზად ზღვასთან არამოსაზღვრე რიგი ქვეყნებიდან შავ ზღვაში. ამდენად, დიდი წყალშემკრები ფართობის გამო, თითქმის სულ ხმელეთით გარშემორტყმული შავი ზღვა არის საკმაოდ მგრძობიარე ანტროპოლოგიური ზემოქმედების მიმართ.

შავი ზღვის გარემოს ხარისხი მნიშვნელოვნად იკლებს საკვები ნარჩენებით მაღალი დაბინძურების გამო, რაც იწვევს ევტროფიკაციას, ასევე არანაკლებ საზიანოა პლასტმასით და ზღვის ნარჩენებით დანაგვიანება. კლიმატური პირობების ცვლილებამ შესაძლებელია გამოიწვიოს ეროზიების გამწვავება, წყალდიდობები და ზღვის გარემოს ხარისხის გაუარესება. შავი ზღვის დეგრადაციის გამომწვევი ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესია ევტროფიკაცია აზოტის და ფოსფორის ნაერთებით, რომლებიც ძირითადად სოფლის მეურნეობის, ადგილობრივი და ინდუსტრიული წყაროებიდან წარმოიშობება. შლამის ზღვაში მოხვედრა და ნავთობით დაბინძურება იწვევს ადამიანების ჯანმრთელობის გაუარესების საშიშროებას და, ზოგიერთ შემთხვევაში, აფერხებს ტურიზმისა და აკვაკულტურის მდგრად განვითარებას.

გარემოს დაბინძურების საკითხის განხილვა შავი ზღვის მდგრადი განვითარების მთავარი გამოწვევა უნდა გახდეს პოსტ-კოვიდურ პერიოდში. წყლის დაბინძურების შეზღუდვა და შემცირება არის მნიშვნელოვანი ფაქტორი ადამიანების ჯანმრთელობისთვის და ბუნებრივი პირობების გაჯანსაღებისათვის. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გარემოს დაბინძურების გამოწვევების საპასუხოდ, მსოფლიო ბანკი და მისი პარტნიორები ჩაებნენ რეგიონული მიდგომების დაგეგმვაში და ჩამოაყალიბეს შავი ზღვის გალურჯების რეგიონული პროექტი (შემდგომში „პროექტი“) გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის დაფინანსებით.

შავი ზღვის გალურჯების პროექტი საერთო საზღვაო დღის წესრიგის და მისი შვიდი ხელმძღვრე ქვეყნის - ბულგარეთი, საქართველო, მოლდოვის რესპუბლიკა, რუმინეთი, რუსეთის ფედერაცია, უკრაინა და თურქეთი - მხარდასაჭერ ინიციატივას წარმოადგენს. პროექტი მიზნად ისახავს ქმედებების წამოწყებას ეროვნულ დონეზე, რაც საქართველოში, მოლდოვაში, უკრაინასა და თურქეთში მოხდება. აღნიშნულ პროექტს (მას შემდეგ რაც მას კომპლექსური რეგიონული პროგრამის ამოქმედებაც მოჰყვა, რომელიც როგორც რეგიონულ, ისე ცალკეული ქვეყნების დონეზე განხორციელდება) კოორდინაციას გაუწევს შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის მუდმივმოქმედი საერთაშორისო სამდივნო.

პროექტი შესაბამისობაში იქნება მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალურ პრინციპებთან და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მოთხოვნებთან. ამ მოთხოვნათა კონტექსტში პროექტის სხვადასხვა კომპონენტისთვის და მათ ფარგლებში შემუშავებული ცალკეული ქვე-პროექტებისთვის შემუშავდება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და მისი მართვის სხვადასხვა ინსტრუმენტი.

პროექტის ფარგლებში განხორციელებულ თითქმის ყველა ქმედებას ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე დადებითი გავლენა ექნება შავი ზღვის ეკოლოგიური სტატუსის გაუმჯობესებისკენ მიმართული გაძლიერებული მმართველობის შედეგად. პოლიტიკისა და ინსტიტუციური შესაძლებლობების გასაუმჯობესებელ ქმედებებს ექნებათ ისეთი არაპირდაპირი დადებითი გავლენა, როგორცაა წყლის სახეობების კონსერვაცია, წყლის მოხმარებისა და ჩამდინარე წყლების გაწმენდის ხარისხის გაუმჯობესება, ნიადაგის დაბინძურების შემცირება. თუმცა, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ პროექტის საინვესტიციო ნაწილს გააჩნია ისეთი თანმდევი ფაქტორები, როგორცაა, ნარჩენების გამომუშავება და მართვა, ენერჯის მოხმარება, ხმაური, მტვრის გამოყოფა და გავლენა შრომის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობაზე, რაც შეიძლება იყოს დროებითი და შექცევადი, დაბალი მასშტაბების და სპეციფიკური მოვლენა და ამასთან, შესაძლებელი იყოს ამ ფაქტორების მარტივად აღმოფხვრა მართვის აპრობირებული პრაქტიკების გამოყენებით.

ეროვნულ ქმედებათა გეგმასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები და გავლენები განხილული იქნება სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების ფარგლებში. პროექტის დიზაინის და აქტივობების გაზიარების მიზნით განხორციელდება ეროვნულ ქმედებათა გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების (მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტები 1-10) გათვალისწინებით. ამდაგვარად, მოხდება მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური პრინციპების მოთხოვნების თავმოყრა და ინტეგრაცია მიმდინარე ეროვნული პოლიტიკის შეფასებასა და საკანონმდებლო ჩარჩოში, დაბინძურების შემცირების ეროვნული გეგმის და ცირკულარულ ეკონომიკის, ისევე როგორც „გალურჯების ეკონომიკის“ გაუმჯობესებული პრინციპების, რეგიონული მასშტაბით შემუშავებაში. სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების ფარგლებში მოხდება პროექტის განვითარებასთან და უარყოფითი ზეგავლენის შემარბილებელი ზომების მიღებასთან დაკავშირებული კრიტიკული გარემოსდაცვითი საკითხების და შესაძლებლობების დადგენა და შეფასება, რაც ინტეგრირებული იქნება ეროვნული ქმედებების გეგმაში და მდგრადი ბიზნეს სტანდარტების განვითარებაში.

## **2. მიმოხილვა**

### **2.1 რეგიონული მიმოხილვა**

შავი ზღვის რეგიონი შეიძლება დავახასიათოთ როგორც მრავალმხრივი გაერთიანებების ერთობლიობა. შავი ზღვის მოსაზღვრე გაშლილ ფართობზე ცხოვრობს 332 მილიონი მოსახლე. ამ რეგიონის ზღვისპირა ქვეყნები (მაგალითად ბულგარეთი, საქართველო, რუმინეთი, რუსეთი, თურქეთი და უკრაინა) და მათი მოსაზღვრე ქვეყნები (მაგალითად სომხეთი, აზერბაიჯანი, საბერძნეთი და მოლდოვა), აგრეთვე მიეკუთვნებიან სხვა რეგიონებსაც (მაგალითად სამხრეთ ევროპის, ჩრდილო კავკასიის, ცენტრალური აზიის და ხმელთაშუაზღვის რეგიონებს). შავი ზღვა დაკავშირებულია ეგეოსის ზღვასთან და ხმელთაშუა ზღვასთან. ევროპის ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი მდინარე, დუნაი, ასევე, კონტინენტის მესამე და მეოთხე უმსხვილესი მდინარეები, დნეპრი და დონი, ჩაედინებიან შავ ზღვაში. მიუხედავად ურთიერთკავშირის არსებობისა, შავი ზღვის ფართო რეგიონი სტრუქტურულად არის არაერთგვაროვანი.

ისტორიულად, მთავარი გამაერთიანებელი ფაქტორები იყო სამეწარმეო საქმიანობა და კერძო ინიციატივები, მაშინ როდესაც პოლიტიკური გახლეჩა ხშირ შემთხვევაში საფუძველს აცლიდა ამ გაერთიანებებს. ამჟამად, შავი ზღვის აუზის ქვეყნების სტრუქტურული, პოლიტიკური და სოციო-ეკონომიკური პირობები დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან. რეგიონული მასშტაბით, შავი ზღვის მიახლოებით მთლიანი შიდა პროდუქტი ვარირებს 3.6 ტრილიონი აშშ დოლარის ფარგლებში, ის აწარმოებს გლობალური მთლიანი შიდა პროდუქტის 4.3%, მნიშვნელოვანი სოციო-ეკონომიკური კონტრასტების გათვალისწინებით.

შავი ზღვის აუზის ქვეყნების მოსახლეობის ძირითად საყრდენს წარმოადგენს თევზჭერა და ტურიზმის ინდუსტრია. ზღვის სიჯანსაღე მოსახლეობის ჯანმრთელობის საწინდარია, წყლის მიკრო ორგანიზმებიდან დაწყებული, წყალმცენარეებით დასრულებული, თევზებით, დელფინებითა და სხვა ცოცხალი არსებებით. ხმელთაშუა ზღვის თევზჭერის გენერალური კომისიის მიხედვით, შავი ზღვის რეგიონის საზღვაო თევზჭერის წლიური ამონაგები შეადგენს 350 მილიონ აშშ დოლარს და უზრუნველყოფს ოცი ათას სამუშაო ადგილზე მეტს, თევზჭერის პროაქტიული და პოსტაქტიური პერიოდების გამოკლებით. შავი ზღვის რეგიონში ტურისტების ვიზიტების ზრდის მაჩვენებელი ბოლო ორი დეკადის განმავლობაში უსწრებდა მსოფლიო საშუალო მაჩვენებლებს. აღნიშნულზე ასევე მეტყველებს ის, რომ 2018 წელს 143 მილიონი საერთაშორისო ტურისტის მიერ განხორციელებულმა ვიზიტმა, 75 მილიარდი აშშ დოლარის შემოსავალი მოუტანა რეგიონში შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს.

## 2.2 დარგობრივი მიმოხილვა

გასული ორი ათწლეულის განმავლობაში შავი ზღვა გახდა ერთ-ერთი ყველაზე დაბინძურებული ზღვა, ამასთან ეუთროფიკაცია მწვავე კრიტიკულ პრობლემას წარმოადგენს. შავი ზღვის დეგრადაციის გამომწვევი ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესი არის მასიური გადაჭარბებული განოციერება აზოტისა და ფოსფორის ნაერთებით, რომლების ძირითადი წყაროა სამიწათმოქმედო, ადგილობრივი და ინდუსტრიული წარმოშობის ჩამდინარე წყლები. აღნიშნულმა ფენომენმა შავი ზღვის მთელი ეკო სისტემა შეცვალა და სავსებით მოსალოდნელია, რომ ეს პროცესი გახდეს შეუქცევადი, ვინაიდან სოფლის მეურნეობის დარგმა უნდა უპასუხოს ახალ გამოწვევებს, როგორცაა კლიმატური პირობების ცვლილება და ინვაზიური სახეობები. აღნიშნული შენაერთები შავ ზღვაში აღწევს 17 სხვადასხვა ქვეყნიდან, მდინარეებითა და წყლითსავალი გზებით. ამ მხრივ, ზღვის მოსაზღვრე ქვეყნების კონტრიბუცია ჯამურ წილში 70 პროცენტს იკავებს. შეფასებებით, ყოველწლიურად, შავ ზღვაში ჩაედინება 571 მილიონი კუბური მეტრის რაოდენობის საყოფაცხოვრებო წყლები. ასეთი წყლები ხშირ შემთხვევაში არ არის მაღალი სტანდარტის შესაბამისი, ვინაიდან ან სულ არ არის დამუშავებული ან არასათანადოდ მუშავდება.

ნავთობით დაბინძურების დონე ღია ზღვაში არ არის მაღალი, თუმცა საზღვაო სახმელეთო ზონების დაბინძურების რისკი მზარდია. ბოსფორის გავლით წელიწადში დაახლოებით 50,000 გემი მოძრაობს, რომელთა შორის, სულ მცირე 10,000 არის ნავთობ გადამზიდი. რუსეთსა და საქართველოში შავი ზღვის რამდენიმე პორტი ემსახურება კასპიის ზღვის ნავთობისა და გაზსადენის ტერმინალებს. ყოველწლიურად, შავ ზღვაში იცლება დაახლოებით 95,000 ტონა აღუდგენელი ნავთობ ნარჩენები, საოპერაციო ქმედებების თუ ავარიული შემთხვევების შედეგად, ასევე მიწაზე განთავსებული წყაროებიდან. შავ ზღვაზე კომერციული გადაზიდვები არ არის ინტენსიური და შეადგენს მსოფლიო მაჩვენებლის 1%-ზე ნაკლებს, თუმცა აქვს სწრაფად მზარდი ტენდენცია.

ტოქსიკური ნივთიერებები, როგორცაა პესტიციდები და მძიმე მეტალები, წარმოადგენენ შავი ზღვის დაბინძურების საშიშროების განსხვავებულ ფორმას, რომლებიც თუმცა არ აბინძურებენ მთელ წყლებს, მაგრამ შეინიშნებიან ცხელი წერტილების მახლობლად, ცნობილ ადგილებში. მყარი ნარჩენებით და პლასტმასით დაბინძურების პრობლემა გახდა დღის წესრიგის მზარდი ნაწილი, ვინაიდან შავ ზღვაში ჩამდინარე საყოფაცხოვრებო ნარჩენების 85% სწორედ პლასტმასა წარმოადგენს. პლასტმასის ნარჩენები, მყარი ნარჩენებიდან ყველაზე მავნე ნარჩენებს განეკუთვნება, რადგანაც მისი ბოლომდე დაშლა შეუძლებელია, ხოლო დაშლილი მცირე ფრაგმენტები აზიანებს საზღვაო ეკოსისტემას.

დაბინძურებით და გარემოს დეგრადაციით გამოწვეული ეკონომიკური ზარალი, დღემდე ბოლომდე შეუფასებელი რჩება. რეგიონის ყველა ქვეყანაზე განსხვავებული გავლენა გააჩნია და დამოკიდებულია თითოეული ქვეყნის ეკონომიკური აქტივობის სახეობასა და მასშტაბებზე, რომელიც დაკავშირებულია ზღვასთან, ძირითადად ტურიზმსა და თევზჭერასთან, ხოლო მდგომარეობის გაუარესება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა

ღონისძიებებით უპასუხებენ ქვეყნები ამ გამოწვევას. პარალელურად, დაბინძურების გავლენის გამძაფრებას ემსახურება კლიმატური ცვლილებები. გარემოს დაბინძურებასთან ერთად, შავი ზღვის ტემპერატურის ზრდა ტენდენციური ხდება, რაც თავის მხრივ იწვევს წყლის ატმოსფეროში აორთქლების ინტენსიურ პროცესებს და ნეგატიურ ატმოსფერულ ცვლილებებს, ვინაიდან შავი ზღვის ფუნქციონალური დატვირთვა რეგიონში ამინდის რეგულირების კუთხით ფერხდება. გარდა ამისა, ევტროფიკაცია და ჩამდინარე წყლებით დაბინძურება იწვევს სათბურის აირების გამოყოფას. კლიმატური ცვლილებების შედეგებით გამოწვეული დამატებით ფაქტორებს წარმოადგენენ შავი ზღვის სანაპიროს დატბორვა და ზღვის ღონის ამაღლება.

კოვიდ-19-ის კრიზისის შედეგად სამუშაო ადგილების დაკარგვამ, ბიზნესების გაუქმებამ და საერთაშორისო ვაჭრობის შეფერხებამ, შავი ზღვის მოსაზღვრე ქვეყნებს მკაცრი ეკონომიკური შედეგები მოუტანა. ამის გათვალისწინებით, აღნიშნული ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის აღდგენასა და სოფლის მეურნეობის ძირითადი საქმიანობების მიღმა დივერსიფიცირებას, შესაძლოა კრიტიკულად მნიშვნელოვანი როლი ჰქონდეს ზიარი კეთილდღეობის დასაბრუნებლად, გონივრული, მდგრადი და გლობალურად ყოვლისმომცველი ზრდის მიღწევაში. შავი ზღვის წყლებს რეგიონისთვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური დატვირთვა აქვს.

### **2.3 ინსტიტუციური მიმოხილვა**

ქვეყნებმა გააერთიანეს თავიანთი ძალები, რათა საერთო ძალისხმევა მიემართათ შავი ზღვის მდგრადი განვითარების მიზნის მისაღწევად. 2019 წლის 21 მაისს, შავი ზღვის „საერთო საზღვაო დღის წესრიგის“ მხარდასაჭერად, ბუქარესტში გაიმართა ბულგარეთის, საქართველოს, მოლდოვას, რუმინეთის, რუსეთის ფედერაციის, თურქეთისა და უკრაინის მინისტრების და ვიცე-მინისტრების შეხვედრა. „საერთო საზღვაო დღის წესრიგი“ წარმოადგენს 2018 წელს ბუქარესტის მინისტერიალზე „საერთო საზღვაო დღის წესრიგი შავი ზღვისთვის“ შეთანხმების რეზოლუტატს და ევროკომისიის მიერ ინიცირებული პროცესის შედეგია, რომელიც მიზნად ისახავს შავი ზღვის სინერგიას. „საერთო საზღვაო დღის წესრიგის“ მხარდასაჭერად, 2019 წლის 8 მაისს საფუძველი ჩაეყარა შავი ზღვის სტრატეგიული კვლევისა და ინოვაციების დღის წესრიგს, კვლევებისა და ინოვაციების მხარდასაჭერად, ისეთ კრიტიკულ სფეროებში როგორცაა: ბიომრავალფეროვნება, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და ახალი ადგილობრივი, ეროვნული და ტრანსსასაზღვრო პოლიტიკური ღონისძიებები.

„საერთო საზღვაო დღის წესრიგის“ განხორციელების მხარდაჭერას ასრულებენ შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია და შავი ზღვის კომისია. შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია წარმოადგენს მრავალმხრივ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინიციატივას, რომლის მთავარი მიზანია წევრ ქვეყნებს შორის ჰარმონიული ურთიერთობის ხელშეწყობა. ის წარმოადგენს, სხვადასხვა საკითხებში ცამეტ წევრ ქვეყანას შორის თანამშრომლობის ერთგვარ ფორუმს. შავი ზღვის ეკონომიკური



თანამშრომლობის ორგანიზაციას საფუძველი ჩაეყარა როგორც რეგიონული საკუთრების ინიციატივას, როდესაც, 1992 წლის 25 ივნისს, სტამბოლში გამართულ შეხვედრაზე სხვადასხვა სახელმწიფოების მმართველებმა მოაწერეს ხელი სამიტის დეკლარაციას და ბოსფორის დადგენილებას. შავი ზღვის კომისია ჩამოყალიბდა ბულგარეთის, საქართველოს, რუმინეთის, რუსეთის ფედერაციის, თურქეთისა და უკრაინის ერთობლივი შეთანხმებით 1992 წელს, ხოლო მოგვიანებით განხორციელდა შავი ზღვის დაბინძურებისგან დაცვის კონვენციის რატიფიკაცია, რომელიც ასევე ცნობილია „ბუქარესტის კონვენციის“ სახელით. აღნიშნული წარმოადგენს, ძირითადი ჩარჩო ხელშეკრულებისა და სამი შემდეგი სპეციფიკურ პროტოკოლს: (i) დაბინძურების სახმელეთო წყაროების კონტროლი (ii) ნარჩენების ზღვაში ჩაყრა და (iii) ავარიულ შემთხვევებზე ერთობლივი რეაგირება (როგორცაა ნავთობის გაჟონვა).

ნარჩენების გადამუშავების პრაქტიკის დამკვიდრებას სჭირდება მხარდაჭერა და წახალისება, რომლის ნაკლოვანებასაც განიცდიან კომერციული დარგის წარმომადგენლები (კერძოდ, მცირე და საშუალო საწარმოები). საწარმოო წამოწყებების და მცირე და საშუალო საწარმოების ტექნიკურ და საინვესტიციო მზაობას წინ ეღობება ინოვაციების და მდგრადი განვითარების პროდუქტებზე და გადაწყვეტილებებზე წვდომის სიმწირე.

„საერთო საზღვაო დღის წესრიგის“ მხარდასაჭერად, მსოფლიო ბანკი საფუძველს უყრის შავი ზღვის გალურჯების პროგრამას, რომლის მიზანია შავ ზღვაში ლურჯი ეკონომიკების ინვესტირების პროცესების დაჩქარება. შავი ზღვის გალურჯების პროგრამას გააჩნია საინვესტიციო და ანალიტიკური კომპონენტები, ამასთან მისი საწყისი ეტაპი მიმართულია შავი ზღვის დაბინძურების შემცირებაზე. პროგრამის განვითარებისკენ მიმართული პირველი ეტაპის შესასრულებლად განსაზღვრულია ორი ინსტრუმენტი: (i) რეგიონული ანალიტიკური ნაშრომი „დაბინძურების ტალღის უკუქცევა“, რომელიც დაფინანსებულია მულტი-დონორი სატრასტო ფონდით „PROBLUE“ და ხორციელდება მსოფლიო ბანკის მიერ. ეს ნაშრომი დამტკიცებულია და ემსახურება დაბინძურების ეროვნულ დიაგნოსტიკას, რომლის შედეგების სინთეზირება მოხდება რეგიონალურ ანგარიშში; (ii) შავი ზღვის გალურჯების პროგრამა, რომელიც ხორციელდება გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის გრანტით, „საერთაშორისო წყლების“ დაკრედიტების პრინციპით. გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის პროექტი არის „შავი ზღვის გალურჯების პროგრამის“ პროექტის ქვაკუთხედი, რომელიც ემსახურება სპეციფიური რეგიონული დაინტერესებული მხარეებისთვის, კონსულტაციის გაწევის მექანიზმების განვითარებას და მხარს უჭერს საუკეთესო პრაქტიკების და ცოდნის გაზიარების დამკვიდრებას რეგიონის შიგნით და გარეთ. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი პროექტი ცოდნის გაზიარების და სტანდარტების ჩამოყალიბების მხრივ დიდ სარგებელს მოუტანს შავი ზღვის აუზის ყველა ქვეყანას, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის გადაწყვეტილებით, შავი ზღვის არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ეროვნული დონის აქტივობებს ადგილი ექნებათ მხოლოდ შემდეგ ოთხ ქვეყანაში: საქართველოში, მოლდოვაში, თურქეთსა და უკრაინაში.

### 3. პროექტის მიმოხილვა და მისი კომპონენტები

გარემოს დაბინძურების საკითხის განხილვა პოსტ-კოვიდური პერიოდში შავი ზღვის მდგრადი განვითარების მთავარი გამოწვევაა. წყლის დაბინძურების შეზღუდვა და შემცირება მნიშვნელოვანია საზოგადოების ჯანმრთელობისათვის და ბუნებრივი საცხოვრებელი პირობების გაჯანსაღებისათვის. პროექტი მიზნად ისახავს ინოვაციური დაფინანსების და ბიზნეს მოდელების დადგენას, ასევე სახმელეთო და საზღვაო რესურსების დეგრადაციის შემცირების პრაქტიკების შემუშავებას, საზღვაო გადაზიდვების მიმართ ლურჯი ეკონომიკის ეფექტური მიდგომის ძლიერი საფუძველის ჩამოყალიბებას, რომელიც მიმართული იქნება საზღვაო ეკოსისტემის აღდგენის და დაცვის მხარდამჭერი ეკონომიკის შენარჩუნებისკენ.

პროექტის მიზანია ეკონომიკის, ტექნიკური და საკომუნიკაციო მექანიზმების გამყარება, რეგიონული თანამშრომლობის და კერძო სექტორის შავი ზღვის დაბინძურების შეზღუდვაში ჩართულობის ხელშეწყობა. აქედან გამომდინარე, პროექტის მიზნის მიღწევის ინდიკატორები შემდეგია:

- სააგენტოები რომლებიც, პროექტის განხორციელების შედეგად მიმართავენ თავიანთ ძალისხმევას შავი ზღვის დაბინძურების შემცირებასა და შეზღუდვისკენ. ეს სააგენტოები შეიძლება არსებობდნენ რეგიონულ ან ეროვნული დონეზე.
- რეგიონული და ეროვნული სააგენტოების/ინსტიტუციების მიერ დანერგილი კრიტიკულ სექტორებში დაბინძურების კონტროლის და შეზღუდვის მდგრადი ბიზნეს- და საინვესტიციო სტანდარტები და დირექტივები.
- ეკო-ინოვაციური გამოწვევებით წახალისებული ინოვაციები.
- კონკრეტულ სფეროში პოტენციური ინვესტირების დადგენა.
- დაინტერესებული მხარეების ჩართულობა პროექტის განხორციელების სრული პერიოდის განმავლობაში, პროექტის აქტივობის გავლენის შესახებ უკუკავშირის მოსაპოვებლად.

ქვემოთ მიმოხილულია პროექტის შემადგენელი სამი კომპონენტი.

#### 3.1 კომპონენტი 1 – დაბინძურების თავიდან არიდებასა და შემცირებაში ინვესტირების ეკონომიკური საფუძველი

დაბინძურების ფასის ღრმა გააზრება ეროვნულ და რეგიონულ დონეებზე წარმოადგენს რეგიონში ლურჯი ეკონომიკის შემდგომ განვითარების შეუცვლელ საფუძველს. აღნიშნული კომპონენტი შეეხება დაბინძურების აღმოფხვრაში, ეკონომიკური ცოდნის ნაკლოვანებების დადგენასა და მის შემცირებას ეკონომიკური ანალიზის საშუალებით. შემდგომ, „დაბინძურების პროცესების შეფერხების“ ფარგლებში მომზადებულ ანალიტიკურ ნაშრომზე დაყრდნობით, აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში მოხდება საინვესტიციო რეკომენდაციების ჩამოყალიბება გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის

მიერ დაფინანსებული შავი ზღვის გალურჯების პროექტში მონაწილე ქვეყნების მთავრობებისთვის.

### ***ქვე-კომპონენტი 1.1 უმოქმედობის ღირებულების ანალიზი***

აღნიშნული ქვე-კომპონენტის ფარგლებში უნდა განხორციელდეს, წყლის რესურსების მართვის, ნარჩენების მართვის, სოფლის მეურნეობის, აკვაკულტურის, ტურიზმისა და საზღვაო გადაზიდვების მიმართებაში, დაბინძურების უმოქმედობის ღირებულების რაოდენობრივი ანალიზი. „დაბინძურების პროცესების შეფერხების“ ფარგლებში, მეორადი ინფორმაციის დამუშავების და ლიტერატურული მასალების გამოყენებით მომზადებული, დაბინძურების წყაროების დიაგნოსტიკა უზრუნველყოფს ხარისხობრივ მაჩვენებლებს, შავი ზღვის სახმელეთო ზონის და ზღვაში შენაკადი ძირითადი მდინარეების აუზების წყლის დაბინძურების შესახებ მოპოვებული გარემოებების ჩათვლით.

პროექტის ფარგლებში მომზადებული უმოქმედობის ღირებულების ანალიზის დროს გამოყენებული იქნება შემდეგი მეთოდოლოგიები: (i) წყლის დაბინძურების საბაზრო ღირებულების ანალიზი, განსაკუთრებული აქცენტებით შავი ზღვის აუზის ქვეყნებში ტურისტულ პოტენციალის მიმართებაში, თევზის რეწვის წარმადობის ცვლილებებზე, აგრარული კულტურების წარმადობაზე, ასევე გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მიერ დაფინანსებული შავი ზღვის გალურჯების პროექტის მონაწილე ქვეყნებში ჯანდაცვის დანახარჯების ეკონომიკური გავლენის და რეგიონალურ დონეზე აგრეგირებულ დანახარჯები; და (ii) სრულდება, წყლის დაბინძურების ჯანმრთელობაზე არა-საბაზრო გავლენის, როგორც არის გარდაცვალებისა და კუჭნაწლავის და სხვა დაავადებათა დონის ფულად ერთეულებში გადაყვანა და შეფასება. იმისათვის რომ მოხდეს რეკომენდაციების გაცემა, თუ რა ტიპის პოლიტიკური ინტერვენციები და ინვესტიციების უნდა გაკეთდეს „შავი ზღვის გალურჯების პროგრამის“ გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი პროექტის მონაწილე ქვეყნებში, აღნიშნული ქვე-კომპონენტის ფარგლებში, უზრუნველყოფს საზღვაო დაბინძურების უმოქმედობის ღირებულების ფაქტების შეფასებას, მმართველი ორგანოებისთვის. აღნიშნული საქმიანობა, მოიცავს საკონსულტაციო მომსახურებებს და კონსულტაციებს. გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მიერ დაფინანსებული შავი ზღვის გალურჯების პროექტის მონაწილე ქვეყნებში განხორციელდება, ეროვნულ დონეზე განხორციელებული ანალიზის, რეგიონული სინთეზი, რაც გაზიარებული იქნება „საერთო საზღვაო დღის წესრიგის“ შვიდივე ქვეყანასთან.

### ***ქვე-კომპონენტი 1.2 ეროვნული საინვესტიციო რეკომენდაციები, ცოდნის გაზიარება და რეგიონული დიალოგი***

აღნიშნული კომპონენტი მოიცავს გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მიერ დაფინანსებული შავი ზღვის გალურჯების პროექტის მონაწილე ქვეყნებისთვის დაბინძურების შემცირების და მართვის ეროვნული საინვესტიციო რეკომენდაციების ჩამოყალიბებას. „დაბინძურების ტალღის უკუქცევის“ ფარგლებში მომზადებული

ინსტიტუციური, პოლიტიკური და იურიდიული ანალიზის შედეგების მიხედვით პროექტის მსვლელობისას გაიმართა დიალოგი დარგობრივ და ფინანსურ მინისტრებთან, ისევე როგორც რეგიონის მნიშვნელოვან დაინტერესებულ მხარეებთან. შესაბამისი რეგიონული და საერთაშორისო ჩარჩოების ფარგლებში, პროექტით მოხდება დაბინძურების ცხელი წერტილებისთვის პოტენციური ინფრასტრუქტურული საინვესტიციო რეკომენდაციების განსაზღვრა, აგრეთვე, საინვესტიციო კონცეფციის, საინვესტიციო გეგმის პირველადი მონაცემების, მიზნებითა და მონიტორინგის მექანიზმებთან ერთად. აღნიშნულის პარალელურად, მოხდება ცოდნის გაზიარება „საერთო საზღვაო დღის წესრიგის“ შვიდ ქვეყნებს შორის საუკეთესო პრაქტიკების გაცვლის გზით. ცოდნის რესურსები განთავსდება შავი ზღვის ვირტუალური ცოდნის ცენტრში და გავრცელდება „IW:სწავლის პლატფორმის“ საშუალებით. პროექტი ხელს შეუწყობს რეგიონული დიალოგის ჩამოყალიბებას შავი ზღვის კომისიას, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის, ხმელთაშუა ზღვის თევზჭერის გენერალური კომისიას შორის და გააუმჯობესებს შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის საქმიანობის შედეგებს (საქმიანობის დაფინანსებას და მონაწილეობას). აღნიშნული კომპონენტი მოიცავს საკონსულტაციო მომსახურებას, ტრენინგებს და კონსულტაციებს. ეროვნული საინვესტიციო რეკომენდაციები განხორციელდება გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მიერ დაფინანსებული შავი ზღვის გალურჯების პროექტის მონაწილე ოთხ ქვეყანაში, თუმცა ცოდნის გაზიარების და რეგიონული დიალოგის სარგებელი გავრცელდება „საერთო საზღვაო დღის წესრიგის“ შვიდივე ქვეყანაზე.

### **3.2 კომპონენტი 2 - ბიზნესისა და ინვესტირების, ასევე ეკოლოგიური და ინოვაციური დაფინანსების მდგრადი სტანდარტები**

მოცემულ კომპონენტი გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მიერ დაფინანსებული შავი ზღვის გალურჯების პროექტის მონაწილე ოთხივე ქვეყანაში გაზრდის კერძო და საჯარო სექტორების წარმომადგენლების მზაობას და უზრუნველყოფს მათ ფინანსურ ინვესტიციებზე, სიახლეებსა და ტექნოლოგიებზე წვდომას, დაბინძურების შემცირების მართვის მიზნით. პროექტი ემსახურება საერთაშორისო და რეგიონში აღიარებული ინვესტირების მდგრადი სტანდარტების დანერგვას სხვადასხვა დარგებში და უზრუნველყოფს შავი ზღვის აუზის ქვეყნებში სემინარებითა და ვებინარებით ბიზნესისა და მთავრობის წარმომადგენლებისთვის შესაძლებლობების განვითარებას.

#### ***ქვე-კომპონენტი 2.1 მდგრადი ბიზნეს და საინვესტიციო სტანდარტების დირექტივები***

ადგილობრივი კონსულტაციების შედეგად მოხდა შემდეგი გარემოებების გამოვლენა: სოფლის მეურნეობის და ურბანულ-ინდუსტრიული ჩამდინარე წყლები წარმოადგენს შავი ზღვის დაბინძურების მთავარ წყაროს. აღნიშნული წარმოადგენს ამ ქვე-კომპონენტის განხილვის მთავარ თემას. მდგრადი ბიზნეს და საინვესტიციო სტანდარტების პირველადი დადგენა მოხდება მთავარ დარგებში, რეგიონული და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკების გათვალისწინებით. პროექტით ასევე გამიზნულია, „საერთო საზღვაო დღის

წესრიგის“ ქვეყნებს შორის ეროვნული სტანდარტების მსგავსებების დადგენა. რის შემდეგაც შესაფერისი სტანდარტი, როგორც ცნობადობის ამაღლების კამპანიებით, ასევე შესაძლებლობების გაზრდის ტრენინგების საშუალებით ფართოდ იქნება გავრცელებული დაინტერესებულ მხარეებს შორის. სატრენინგო მექანიზმები შედგება ტრენინგების, და ფერმერებზე, სხვადასხვა დარგებზე, მუნიციპალიტეტებზე და ტურისტულ სფეროში მოღვაწე მცირე და საშუალო მოცულობის საწარმოებზე მორგებული სემინარებისაგან. პარალელურად, პოტენციური ინვესტორების და მხარდამჭერების, მუნიციპალიტეტის და კომერციული ბანკების შესაძლებლობების გაზრდისთვის და გაგების გაუმჯობესებისთვის, განხორციელდება მდგრადი ბიზნეს სტანდარტების ადაპტაცია და ტრენინგების ჩატარება. საპროექტო ტრენინგებზე განხილული იქნება, ბანკებისთვის მისაღები საპროექტო წინადადებები, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის შავი ზღვის აუზის ქვეყნების, მდგრად ფინანსური სტანდარტებზე დაფუძნებული, საინვესტიციო პროექტები, რომლებიც დაკავშირებულია დაბინძურების შემცირებასა და შეზღუდვასთან. აღნიშნული ტრენინგი ემსახურება პოტენციური მხარდამჭერების და ბანკის მუშაკების შესაძლებლობების განვითარებას, შესაფერისი, განხორციელებადი, ბანკისთვის მისაღები და დაბინძურების შემცირების და შეზღუდვის გავლენის შეფასების საინვესტიციო პროექტების უზრუნველყოფის კუთხით, ასევე, გაუზიარებს საერთაშორისო გამოცდილებას, წყლის დაბინძურებასთან დაკავშირებული პროექტების და მათი განხორციელების მთავარი ფაქტორების შესახებ. აღნიშნული ქვე-კომპონენტი მოიცავს საკონსულტაციო მომსახურებებს, კონსულტაციებსა და ტრენინგებს. სტანდარტების და დირექტივები გაზიარება მოხდება „საერთო საზღვაო დღის წესრიგის“ ყველა წევრ ქვეყანასთან, ხოლო ტრენინგები ჩატარდება მხოლოდ გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მიერ დაფინანსებული შავი ზღვის გალურჯების პროექტის ოთხ ქვეყანაში.

## ***ქვე-კომპონენტი 2.2 ეკო-ინოვაციური გამოწვევა***

მოცემული ქვე-კომპონენტი ემსახურება ინოვაციების წახალისების დაფინანსებას, რაც საშუალებას მისცემს სახელმწიფო სექტორის დაწესებულებებს, დეველოპერ პარტნიორებსა და პოტენციურ ინვესტორებს, დაადგინონ, დაასაბუთონ და განახორციელონ ინვესტიცია ინოვაციურ გადაწყვეტილებებში. ეკო-ინოვაციური გამოწვევის სახეობა, შეიძლება შეიცვალოს ქვეყნის ადგილობრივი თავისებურებების მიხედვით. ისინი შეიძლება შეიცავდნენ, დამხმარე ბიზნეს აქსელერატორებს, რომლებიც მიმართულია ახალი ცოდნის და იდეების წახალისებისკენ, მეწარმეებს, ეკო-ბიზნესსა და სხვა მონაწილეებს შორის. ბიზნეს-ინკუბატორების და აქსელერატორების ძალისხმევა მიმართული იქნება, სოფლის მეურნეობის და ლურჯი ეკონომიკის სფეროში, ჯანსაღი და მდგრადი ინოვაციების წახალისებაზე. შერჩეულ ეკო-ბიზნესებს ექნებათ ჯილდოების პოსტ ფაქტუმ მიღების შესაძლებლობა, იმ ინოვაციებისთვის, რომლებიც უკვე განხორციელდა ან გრანტის მიღების საშუალება, ამავე ინოვაციური ტექნოლოგიების ან ბიზნეს მოდელების შემდგომი ადაპტაციის და/ან ტესტირების მიზნით, რათა მოხდეს განხორციელებადობის, პრაქტიკული გამოყენებადობის და ეფექტურობის დამტკიცება. საერთაშორისო, რეგიონალურ და/ან ეროვნულ ბიზნეს დონეზე სტრატეგიული პარტნიორობის მიღწევით, გამოწვევა ასევე ხელს შეუწყობს თანამშროლობას ტექნიკური მიმართულებით, მეწარმეებსა

და ეკო-ბიზნესებში ახალი ცოდნისა და იდეების ჩამოყალიბებისთვის. შერჩეულ ეკო-ბიზნესებს, ეკო-ინოვაციური გამოწვევის ტიპის თვისებებიდან გამომდინარე, ექნებათ ჯილდოების პოსტ ფაქტუმ მიღების შესაძლებლობა, იმ ინოვაციებისთვის, რომლებიც უკვე განხორციელდა ან გრანტის მიღების საშუალება, ამავე ინოვაციური ტექნოლოგიების ან ბიზნეს მოდელების შემდგომი ადაპტაციის და/ან ტესტირების მიზნით, რათა მოხდეს განხორციელებადობის, პრაქტიკული გამოყენებადობის და ეფექტურობის დამტკიცება. ამ ქვე-კომპონენტით გათვალისწინებულია, სულ მცირე ერთი შერჩეული ეკო-ბიზნესის დაფინანსება, თითოეული, ქვეყნიდან. ასევე, ამ ქვე-კომპონენტით გათვალისწინებულია საკონსულტაციო მომსახურებების გაწევა, არა-საკონსულტაციო მომსახურებები, საქონელი, შეზღუდული მოცულობის სამუშაო და კონსულტაციები გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მიერ დაფინანსებული შავი ზღვის გალურჯების პროექტის ოთხი ქვეყნისთვის.

### ***ქვე-კომპონენტი 2.3 ინვესტიციების მომზადება***

პროექტის მხარდაჭერა გამოიხატება მომზადებასა და ინვესტიციებში, რეალური გადაწყვეტილებების და ადგილმდებარეობის განსაზღვრასა და ჩამოყალიბებაში. საკვები ნარჩენებით დაბინძურება სოფლის მეურნეობის დარგის მიერ, ბენეფიციარი ქვეყნების უმეტესობისთვის ყველაზე მწვავე საკითხს წარმოადგენს, ხოლო ეროვნულ დონეზე ჩატარებული რიგი კონსულტაციების შედეგად, დაბინძურების რეგულირებისთვის ეკოლოგიური ინფრასტრუქტურის განვითარების ფინანსური მხარდაჭერა შეთანხმებული და აღიარებული იყო როგორც ინვესტირების გარდაუვალი აუცილებლობა. მხარდაჭერის ფარგლებში მოხდება მიზნობრივი ინვესტიციების გამოყოფა შემდეგი საკითხების მოსაგვარებლად: საკვები ნარჩენებით დაბინძურება და ურბანული ჩამდინარე წყლები, დაბინძურებული წყლის გაწმენდა, წყლის რეცირკულაცია და ხელახალი გამოყენება. პროექტის ფარგლებში მოხდება ერთი პოტენციური საინვესტიციო პროექტის შერჩევა, რომელის დაფინანსების კრიტიკული აუცილებლობა შეფასებული იქნება შავი ზღვის გალურჯების პროექტის თვალსაზრისით, ასევე მომზადდება უფრო კონკრეტული საპროექტო წინადადებები. პროექტის შერჩევის კრიტერიუმები უნდა იყოს დაფუძნებული შემდეგ გარემოებებზე: ინვესტირების რეგიონული და ბუნებრივი გავლენა დაბინძურების შემცირებაზე, ინფრასტრუქტურაში ინვესტირების მზაობა მთავრობის მხრიდან, შავი ზღვის წყლების დაბინძურების შემცირების ეფექტურობა, საინვესტიციო ოპერაციების და მათი მომსახურების მდგრადობა, ინვესტიციების განმეორებითობა და მასშტაბურობა, სოციალური გავლენა მოსახლეობის კეთილდღეობის გაზრდაზე, სამუშაო ადგილების შექმნა და გენდერული თანასწორობა. საინვესტიციო პროექტის შერჩევის გადაწყვეტილება უნდა განხორციელდეს, ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან ეროვნული და რეგიონული კონსულტაციების შედეგად. მომზადება მოიცავს პროექტის სხვადასხვა მოსამზადებელ ეტაპებს: განხორციელებადობის წინარე კვლევებს, ეკონომიკურ და ფინანსურ ანალიზს, გარემოს და სოციალური გავლენის შეფასების ანალიზს. აღნიშნული ქვე-კომპონენტში გათვალისწინებული იქნება გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მიერ დაფინანსებული შავი ზღვის გალურჯების პროექტის წევრი ოთხი ქვეყნიდან, სულ მცირე ერთ-ერთი ქვეყანა.

### 3.3 კომპონენტი 3 - პროექტის მართვა

ეს ნაწილი მიზნად ისახავს პროექტის ეფექტიანობის და ეფექტურობის უზრუნველყოფას, მონიტორინგის და შეფასების დამაკმაყოფილებელი მართვის სისტემების დანერგვის გზით, ასევე პროექტში მონაწილეობის და საკონსულტაციო მექანიზმების შენარჩუნებით. აღნიშნული ნაწილი, პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ერთეულის დამხმარე კომპონენტია, ფინანსების მართვის და შესყიდვების, პროექტის შედეგების ჯამური მონიტორინგის, პროექტის მიმდინარეობის რეპორტების მომზადების და მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური პრინციპებთან შესაბამისობის დაცვის მიზნით, ასევე კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით საჩივრის დაკმაყოფილების მექანიზმების დანერგვის კუთხით.

### 4. სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების მიზნები და მიდგომები

ამ ტექნიკური დავალების მიზანია კომპლექსური და ერთობლივი სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესის/კვლევის განხორციელების უზრუნველყოფა, რომელშიც ინტეგრირებულია გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხები, ძირითადად პროექტის ქვემოთ აღნიშნულ ნაწილში:

- ეროვნული საინვესტიციო რეკომენდაციების შემუშავება, ცოდნის გაზიარება და რეგიონული დიალოგი (ქვე-კომპონენტი 1.2)

ამ ნაწილში შედის გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მიერ დაფინანსებული შავი ზღვის გალურჯების პროექტის წევრი ოთხი ქვეყნისთვის (საქართველო, მოლდოვის რესპუბლიკა, უკრაინა და თურქეთი) გამოზრდილი, ეროვნული დაბინძურების შემცირების და მართვის ეროვნული საინვესტიციო რეკომენდაციები. სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების კვლევები (წინასწარი შეფასებით განსაზღვრულია ოთხი კვლევის ჩატარება ოთხ საპილოტე ქვეყანაში), რომლებიც უნდა ჩატარდეს ამ ტექნიკური დავალების მიხედვით და უნდა შეესაბამებოდეს რელევანტურ ეროვნულ გარემოს დაცვის საკანონმდებლო მოთხოვნებს, და გარემოს დაცვის და სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკას/გარემოს დაცვის და სოციალურ სტანდარტებსა და მსოფლიო ბანკის შესაბამის დირექტივებს. დამატებით, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მიერ დაფინანსებული შავი ზღვის გალურჯების პროექტის წევრ ზემოაღნიშნულ ოთხი ქვეყანას გააჩნიათ სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების რეგულაციები. ამრიგად, იმ შემთხვევაში თუ მოხდება ეროვნული გეგმების შემუშავება ქვე-კომპონენტი 2.1-ის მიხედვით, ისინი განეკუთვნებიან იმ კატეგორიას, რომელზეც ვრცელდება ეროვნული გარემოსდაცვითი შეფასების პროცესები, ამასთან, უნდა განხორციელდეს ეროვნული სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცედურის მიდევნება და განხორციელება.

#### 4.1 სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების მიზნები

სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება წარმოადგენს სისტემატიურ და ერთობლივ პროცესს, რომელიც სრულდება წარმოდგენილი გეგმების, პროგრამების და სხვა სტრატეგიული ქმედებების, გარემოს დაცვითი და სოციალური გავლენების ანალიზისთვის, ასევე გადაწყვეტილების-მიღების პროცესებში დასკვნების ინტეგრირებისათვის. გადაწყვეტილების პროცესებში სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების დასკვნების ინტეგრაციისთვის (მაგალითად გეგმის ან პროგრამის დამტკიცება), უნდა მოხდეს სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების მონაცემების ოპტიმალური განხილვა გეგმის ან პროგრამის მიმართ, მისი მომზადების სტადიაზე. სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესი განხორციელება უნდა მოხდეს დაგეგმვის პროცესებთან ერთად.

პროექტის ამოცანაა დაბინძურების მართვის ეროვნული დაგეგმვის მიზნით დაბინძურების პოლიტიკის რეგიონული პრინციპების და რეკომენდაციების დანერგვა, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მიერ დაფინანსებული შავი ზღვის გალურჯების პროექტის ოთხ ქვეყანაში. აღნიშნული მოიცავს, ეროვნულ საინვესტიციო რეკომენდაციების გეგმების შემუშავებას. გეგმის განხორციელება მიზნად ისახავს, დაბინძურების ცხელი წერტილებისთვის პოტენციური ინფრასტრუქტურული საინვესტიციო რეკომენდაციების განსაზღვრას, აგრეთვე, საინვესტიციო კონცეფციის, პირველადი მონაცემებით საინვესტიციო გეგმის, მიზნების და მონიტორინგის მექანიზმების შემუშავებას. ამრიგად, სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების მიზანი იქნება, ზემოხსენებული საინვესტიციო რეკომენდაციების/გეგმების, შეზღუდვების (გარემოსდაცვითი, სოციალური, ბუნებრივი რესურსების და კლიმატურ ცვლილებებთან დაკავშირებული) მოსალოდნელი მნიშვნელოვანი გავლენის დადგენა, აღწერა და შეფასება, რომელთაც ექნებათ გავლენა აღნიშნული გეგმების და შესაძლებლობების განხორციელებაზე, გააუმჯობესოს შავი ზღვის რეგიონის მდგომარეობა, ხელი შეუწყოს კლიმატის ცვლილებებისადმი მედეგობას და წახალისოს ლურჯი ეკონომიკა.

ყოველი სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება ემსახურება ეროვნული საინვესტიციო რეკომენდაციების/გეგმების შეფასებას, რომლებიც დაგეგმილია „შავი ზღვის გალურჯების პროგრამის“ პროექტის ფარგლებში. სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება სთავაზობს საკონსულტაციო პლატფორმას, სხვადასხვა ეროვნული და რეგიონული დონის დაინტერესებულ მხარეებს, რომელთა შორის აგრეთვე მოიაზრება პოტენციურად დაზარალებული მოსახლეობა, რათა მოხდეს სოციალური და გარემოს დაცვითი პრობლემების ერთად თავმოყრა და ინტეგრაცია, შეთავაზებული სამოქმედო გეგმის მომზადების პროცესებში. სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების შედეგებში უნდა გამოჩნდეს წარმოდგენილი აქტივობების სტრატეგიული მნიშვნელობა და უნდა უზრუნველყოს არსებითი ინფორმაცია, რომელიც გამოყენებული იქნება გარემოს დაცვითი და სოციალური გამოწვევების და შესაძლებლობების შეფასებასა და შესაბამის განხილვაში. ამ ინფორმაციის



დახმარებით, უნდა მოხდეს გარემოს (ფიზიკური და ბიოლოგიური/საცხოვრებელი პირობები) და სოციალური (სოციო-ეკონომიკური და მოსახლეობა) საკითხები სათანადოდ იყო თავმოყრილი და ინტეგრირებული პროექტის კომპონენტების და განხორციელების პროცესების საბოლოო დიზაინში, ისევე როგორც პროექტის შედეგების მონიტორინგის, ანგარიშგებასა და შეფასებაში. სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასებით უნდა დადგინდეს შეთავაზებული აქტივობების ალტერნატივები, იმ შემთხვევებში, როდესაც პროექტის კომპონენტებს აქვთ ნეგატიური გავლენა გარემოზე ან ადგილობრივი მოსახლეობაზე, ამ შემთხვევებში უნდა მოხდეს კრიტიკული გარემოს დაცვის და სოციალური რისკებისა და გავლენების თაობაზე რეკომენდაციების განხილვა, ისევე როგორც ინსტიტუციურ და მმართველობით ნაკლოვანებებზე.

სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება, რომელიც უნდა მომზადდეს შესაბამისი „შავი ზღვის გალურჯების პროგრამის“ პროექტის კომპონენტებისთვის, შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს საქათველოს, მოლდოვის, უკრაინისა და თურქეთის გარემოს დაცვის და სოციალურ კანონმდებლობასთან, ისევე როგორც რეგიონალურ ხელშეკრულებებთან და მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვით და სოციალური პრინციპებთან. პროექტის ინვესტიციების დადგენა და პრიორიტეტიზაცია განხორციელდება, სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების დასკვნების საფუძველზე.

#### **4.2 სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების ჩატარებისადმი მიდგომა**

შავი ზღვის გალურჯების პროექტის მახასიათებლების და შინაარსის შესაბამისად, სტრატეგიულ გარემოსდაცვით და სოციალური შეფასებას არ ექნება ერთჯერადი ხასიათი, არამედ ეს განგრძობილი პროცესი იქნება შემდეგი მიზეზების გამო:

- შავი ზღვის გალურჯების პროექტის კომპლექსური და რეგიონული ბუნება, სადაც ქვე-პროექტები/აქტივობები უნდა განხორციელდეს სხვადასხვა ქვეყნებში და ისინი არ არის წინასწარ განსაზღვრული; ამასთან, შესაძლოა საჭირო გახდეს სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების მორგება სხვადასხვა ქვე-პროექტზე/გეგმაზე.
- სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების განხორციელება სტრატეგიული ქმედებების/პროექტების დაგეგმვის პარალელურად უნდა ხდებოდეს, და
- სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესმა დაინტერესებული მხარეების ჩართულობის პლატფორმა უნდა შექმნას უწყვეტი ჩართულობის და დაინტერესებული პირების ფართო აუდიტორიასთან კონსულტაციების უზრუნველყოფის მიზნით.

სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების კვლევის საფუძვლებრივი მიდგომა შემდეგია:

1. შავი ზღვის გალურჯების ფარგლებში სკოპინგის ჩატარება, რაკი ეს პროექტი სტრატეგიული გარემოსდაცვით და სოციალურ შეფასებასა და სკოპინგის ანგარიშის მომზადებას მოითხოვს. სკოპინგი მოახდენს საჭირო მონაცემთა შეგროვების საჭიროებისა და გადასაწყვეტი კრიტიკული საკითხების დადგენას, ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგიის განსაზღვრას, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის საშუალებების მოძიებას, სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების ფარგლებში ჩასატარებელი კვლევების განსაზღვრას და ა.შ.
2. სკოპინგის ანგარიშის სამუშაო ვერსიის წარდგენა განსახილველად მსოფლიო ბანკისთვის და იმ ქვეყნის ავტორიზებული უწყებისთვის, რომელშიც ჩატარდა სკოპინგი (საჭიროების შემთხვევაში).
3. დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაცია (მაგალითად, საჯარო განხილვები, სკოპინგის პროცესში ჩატარებული შეხვედრები, და ა.შ.) სკოპინგის ანგარიშის სამუშაო ვერსიაზე.
4. სკოპინგის ანგარიშის დასრულება.
5. სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების ჩატარება სკოპინგის შედეგებზე დაყრდნობით. ეს შეფასება მოიცავს გარემოსდაცვითი და სოციალური ხასიათის პრობლემებს და პრიორიტეტებს, ბუნებრივ და ასოციალურ გარემოზე ზეგავლენის შეფასებას, გვერდითი მოვლენების შერბილების საშუალებების შემუშავებას, ალტერნატივების შეფასებას და მონიტორინგის გეგმებს; აგრეთვე დაინტერესებული მხარეების ჩართულობას.
6. დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაცია (მაგალითად, საჯარო განხილვები, სემინარები, და ა.შ.) სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პერიოდში.
7. სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების ანგარიშის სამუშაო ვარიანტის მომზადება და წარდგენა განსახილველად მსოფლიო ბანკისთვის და იმ ქვეყნის ავტორიზებული უწყებისთვის, რომელშიც ეს შეფასება იყო ჩატარებული (საჭიროების შემთხვევაში).
8. დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაცია (მაგალითად, საჯარო განხილვები, საპროექტო სამუშაოების მოცულობის დადგენის შეხვედრები და სხვა) სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების ანგარიშის სამუშაო ვარიანტის მოსამზადებლად.
9. სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების ანგარიშის დასრულება.

## 5. სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ჩარჩო

### 5.1 მსოფლიო ბანკის სტანდარტები და სახელმძღვანელო დოკუმენტები

მსოფლიო ბანკი აღიარებს სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასებას კრიტიკულ მნიშვნელობას პოლიტიკაში, გეგმებსა და პროგრამებში გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების თავმოყრის და ინტეგრაციის თვალსაზრისით, აგრეთვე მიიჩნევს მას მდგრადი განვითარების მნიშვნელოვან საშუალებად. ერთის მხრივ, სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალურ შეფასების ძირითადი ინტერესის სფეროა ზეგავლენის ანალიზი, ხოლო მეორეს მხრივ, ინსტიტუციური შეფასება, გარემოსდაცვითი საკითხების სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების სხვადასხვა დონეზე: დაგეგმვის, პროგრამის და პოლიტიკის დონეებზე.

მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური პრინციპები სტრატეგიული გარემოსდაცვით და სოციალურ შეფასებას განსაზღვრავს შემდეგნაირად: გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების და გავლენების, ასევე პრობლემების სისტემატიური შემოწმება, რომლებიც დაკავშირებულია პოლიტიკასთან, გეგმასთან და პროგრამასთან, ტიპიურად ეროვნულ დონეზე, თუმცა გავრცელების არე შესაძლებელია იყოს უფრო მცირე ტერიტორია. გარემოსდაცვითი, სოციალური რისკების და გავლენების შეფასება მოიცავს მსჯელობებს, გარემოსდაცვითი, სოციალური რისკების და გავლენების შესახებ, რომლებიც გაერთიანებულია მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებში, მსოფლიო ბანკის 1-10 გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების ჩათვლით.

მსოფლიო ბანკს აქვს ათი გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტი, სადაც ჩამოყალიბებულია გარემოსდაცვითი, სოციალური რისკების და გავლენების შეფასებისა და დადგენის მოთხოვნები, რომლებიც დაკავშირებულია მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით განხორციელებულ პროექტებთან. ამ სტანდარტების გამოყენება, გარემოსდაცვითი და, სოციალური რისკების და გავლენების დადგენის და მართვის გათვალისწინებით, ემსახურება სიღარიბის შემცირებას და კეთილდღეობის ზრდას, მდგრადი სახით, განვითარების პროექტებში. აღნიშნული სტანდარტები ჩამოთვლილია ქვევით.

- **სტანდარტი 1:** გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და გავლენის შეფასება და მართვა
- **სტანდარტი 2:** შრომა და სამუშაო პირობები
- **სტანდარტი 3:** რესურსების ეფექტური გამოყენება, დაბინძურების თავიდან არიდება და მართვა
- **სტანდარტი 4:** საზოგადოებრივი ჯანდაცვა და უსაფრთხოება
- **სტანდარტი 5:** მიწის შესყიდვა, მიწის გამოყენების შეზღუდვა და არანებაყოფლობითი განსახლება
- **სტანდარტი 6:** ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა

- **სტანდარტი 7:** მკვიდრი მოსახლეობა/საჰარის სამხრეთ მდებარე აფრიკის რეგიონისა და ისტორიულად არაუზრუნველყოფილი ტრადიციული ადგილობრივი თემები
- **სტანდარტი 8:** კულტურული მემკვიდრეობა
- **სტანდარტი 9:** ფინანსური შუამავლები
- **სტანდარტი 10:** დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა და ინფორმაციის გასაჯაროება

შავი ზღვის გალურჯების პროექტის მიზნებისთვის მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტები 5, 7, 8 და 9 არ არის რელევანტური. ამდენად, პროექტის ფარგლებში არ მოხდება იმ აქტივობების დაფინანსება, რომლებიც საჭიროებს მიწის შესყიდვას, ნიადაგის გამოყენების შეზღუდვას და იძულებითი განსახლებას და ექნება რაიმე გავლენა კულტურულ მემკვიდრეობაზე.

მსოფლიო ბანკის რელევანტური გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტები განხილული იქნება სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების კვლევებში და წარმოდგენილია ქვემოთ.

***სტანდარტი 1: გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და გავლენის შეფასება და მართვა***

თითქმის ყველა ქმედება დადებით ზეგავლენას იქონიებს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზოგადად და შავი ზღვის გარემოს სტატუსის გაუმჯობესებაზე კერძოდ, მმართველობის გაძლიერების შედეგად.

პოლიტიკისა და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაზრდისკენ მიმართულ ქმედებებს ექნებათ ირიბი დადებითი გავლენა, როგორცაა წყლის სახეობების კონსერვაცია, წყლის მოხმარებისა და ჩამდინარე წყლის გაწმენდის ხარისხის გაუმჯობესება, ნიადაგის დაბინძურების შემცირება. თუმცა, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ პროექტის საინვესტიციო ნაწილს გააჩნია თანმდევი ეფექტები, როგორცაა, ნარჩენების გამომუშავება და მართვა, ენერჯის მოხმარება, ხმაურის გამოყოფა, მტვერის გამოყოფა და გავლენა შრომის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობაზე, რაც შეიძლება იყოს დროებითი და შექცევადი, დაბალი მასშტაბების და სპეციფიური მოვლენა, ამასთან შესაძლებელი იყოს მათი მარტივად აღმოფხვრა, მართვის აპრობირებული პრაქტიკების გამოყენებით.

პროექტის კომპონენტებთან დაკავშირებული რისკები და გავლენები განხილული იქნება, სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს ფარგლებში.

ეროვნულ ქმედებათა გეგმების სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება, განხორციელდება იქნება მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების (სტანდარტები 1-10) გათვალისწინებით, რათა მოხდეს ინფორმაციის მიწოდება პროექტის მონახაზის და აქტივობების შესახებ. ამდაგვარად, მოხდება მსოფლიო

ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური პრინციპების მოთხოვნების ინტეგრაცია, მიმდინარე ეროვნული პოლიტიკის შეფასებასა და საკანონმდებლო ჩარჩოში, დაბინძურების შემცირების ეროვნული გეგმის და ცირკულარულ ეკონომიკის, ისევე როგორც „ლურჯი ეკონომიკის“ პრინციპების რეგიონის მასშტაბით გაძლიერება. სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების ფარგლებში მოხდება პროექტის განვითარებასთან და შეზღუდვების ზომების მიღებასთან დაკავშირებული კრიტიკული გარემო საკითხების და შესაძლებლობების დადგენა და შეფასება, რომელიც იქნება ინტეგრირებული ეროვნული ქმედებების გეგმაში და მდგრადი ბიზნეს სტანდარტების განვითარებაში. სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების ფარგლებში განხორციელდება, გარემოსდაცვითი და ბუნებრივი რესურსების შეფასების და მართვის, დაბინძურების შემცირების ეროვნული პრინციპების ანალიზი, შერჩეული დარგების გარემოს ანალიზი, ასევე შავი ზღვის აუზის გარემოსდაცვით საკითხებში შეტანილი წვლილის შეფასება, ალტერნატივების და შეზღუდვის სტრატეგიების ჩამოყალიბება, ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების შესაძლებლობების განსაზღვრა და ამრიგად, გადაწყვეტილების პროცესის მიღების ხელშეწყობა. განხორციელდება, სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების ჩამოყალიბება, საჯაროდ გაცხადება და პროექტის მიმდინარეობის დროს სათანადო კონსულტაციების გაცემა დაკავშირებულ დაინტერესებულ მხარეებზე.

ეროვნულ ქმედებათა გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება მოიცავს სოციალურ შეფასებას, რომელიც გაანალიზებს სოციალური რისკების გავლენას შავი ზღვის აუზში და აუზში ინვესტირების შედეგად მიღებულ შესაძლებლობებს: დაინტერესებული მხარეების დადგენის და შეფასებას, სოციალური რისკების განხილვისკენ მიმართული ეროვნული იურიდიული და ინსტიტუციური ჩარჩოების შეფასებას, ბენეფიციარ ქვეყნებში გარემო პირობებზე დამოკიდებული რისკებს, შავი ზღვის აუზის პროექტში მონაწილე ქვეყნების საზოგადოების სოციო-ეკონომიკური მახასიათებლებს, მიწის გამოყენების კარტოგრაფიას, ოჯახების შემოსავლის წყაროს და ფართოდ გავრცელებული ეკონომიკური აქტივობის ჩათვლას. აღნიშნული შეფასება დაადგენს პროექტის მხარდამჭერ აქტივობებს და ინვესტირების გეგმას. ამ ეტაპზე მოსალოდნელია რომ მოწყვლადი ჯგუფებში შევლენ ოჯახები, რომელთა შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს საზღვაო საქმიანობა, მაგალითად თევზჭერა: ქალები, ახალგაზრდები, მცირე შემოსავლიანი ოჯახები და რეგიონული კონფლიქტებით დაზარალებული პირები ზოგ მონაწილე ქვეყანაში. სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება დაადგენს სხვა ნებისმიერ მოწყვლად ჯგუფებს და მათ მიმართ დიფერენცირებული მიდგომის აუცილებლობას.

### ***სტანდარტი 3: რესურსების ეფექტური გამოყენება, დაბინძურების თავიდან აცილება და მართვა***

პროექტში შემავალი აქტივობები მიმართულია, შავი ზღვის აუზის დაბინძურების შემცირების გაძლიერებული მმართველობის, რეგიონული და ეროვნული ჩარჩო დოკუმენტების შეფასების, დაბინძურების შემცირების ეროვნული გეგმის და

ცირკულარული ეკონომიკის განვითარების, რეგიონული დიალოგის ჩამოყალიბების მხარდასაჭერად, მთავრობებს შორის ძლიერი თანამშრომლობის პირობებში. სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება განიხილავს, წყლის ხარისხის და შესაბამის გარემოსდაცვით საკითხებს, დაბინძურების წყაროებს და მათი შემცირების საშუალებებს და ჩამოყალიბებს შესაბამისი პროექტის მონახაზს. საჭიროების მიხედვით, შეფასებებში იქნება გამოყენებული ზოგადი და დარგობრივი მსოფლიო ბანკის ჯგუფის გარემოს, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დირექტივებს.

#### ***სტანდარტი 4: საზოგადოებრივი ჯანდაცვა და უსაფრთხოება***

შავი ზღვის დაბინძურებასა და გარემოს დეგრადაციას შესაძლოა ნეგატიური გავლენა ჰქონდეს სახმელეთო ზონების ადგილობრივ მოსახლეობის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე. სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესში მოხდება მოსახლეობის ჯანმრთელობის და უსაფრთხოების რისკების და გავლენის შეფასება და შესაბამისი გადაწყვეტილებების შეთავაზება ეროვნული გეგმის შემუშავების გზით, მსგავსი გავლენების შემცირების მიზნით.

#### ***სტანდარტი 6: ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა***

შეთავაზებული ქმედებების ტიპოლოგიიდან გამომდინარე, პროექტს ექნება მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი სარგებელი. შავი ზღვის რეგიონი გამოირჩევა ბიომრავალფეროვნებით და გააჩნია მრავალი დაცული ტერიტორია ყველა მოსაზღვრე ქვეყანაში. სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება შეასრულებს აღნიშნული ბიომრავალფეროვნების სტატუსის შეფასებას შავი ზღვის აუზის ქვეყნებში და გამოავლენს იმ მგრძობიარე/დაცული ტერიტორიებს და ბინადრებს, რომლებიც მოექცევა პროექტის განხორციელების რეგიონში. სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება განიხილავს ბინადრების დაცვას, აგრეთვე, ადგილობრივი მოსახლეობისთვის ეკოსისტემის სერვისების უზრუნველყოფას და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის ხელშეწყობის პირობების გაზრდის.

#### ***სტანდარტი 10: დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა და ინფორმაციის გასაჯაროება***

პროექტის ფარგლებში ქმედებები ჩატარდება თურქეთში, საქართველოში, უკრაინასა და მოლდოვაში. ვინაიდან პროექტის განხორციელების პასუხისმგებლობა დაკისრებულია შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციაზე, თითოეულ ქვეყანაში პროექტის განხორციელების პროცესში, შესაბამის აქტივობებს კოორდინაციას გაუწევენ ადგილობრივი სააგენტოები.

პირველადი შეფასებით გამოვლენილ პირდაპირ დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენენ: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მოლდოვის სოფლის მეურნეობის, რეგიონული განვითარების და გარემოს დაცვის სამინისტრო,

თურქეთის გარემოს დაცვის და ურბანიზაციის სამინისტრო და სოფლის მეურნეობის და სატყეო სამინისტრო, უკრაინის ენერჯეტიკისა და გარემოს დაცვის სამინისტრო, შავი ზღვის აუზის ბენეფიციარი ქვეყნების ადგილობრივი მუნიციპალიტეტები, სოფლის მეურნეობის და აკვაკულტურის, ტურიზმისა და თევზჭერის მიმართულებების ადგილობრივი ბიზნეს ასოციაციები, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები და ისინი იქნებიან ჩართულები გრანტით დაფინანსებულ აქტივობებში. განხორციელდება, დამატებითი დაინტერესებული ჯგუფების გამოვლენა პროექტის მომზადების პროცესში, და განსაკუთრებული ყურადღება ექნება მიქცეული, დაინტერესებულ მხარეთა შორის არსებულ, მოწყვლადი ჯგუფების დადგენას.

შავი ზღვის გალურჯების პროექტისთვის შემუშავდა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა, რომელშიც შესულია მოქმედებათა გეგმებით დაინტერესებულ მხარეთა წინასწარი სიები, როგორც რეგიონალურ და ასევე ქვეყნის დონეზე და დაინტერესებულ მხარეთა ანალიზის ცხრილების ნიმუშები. აღნიშნულთან ერთად დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა მოიცავს ძირითადი დაინტერესებული მხარეების ჩართულობის პროგრამას, რომელიც მოიცავს, საკონსულტაციო და ინფორმაციის გაზიარების სტრატეგიებს და მოწყვლადი ჯგუფების შეხედულებების გათვალისწინებას. სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების კვლევებში, გამოყენებული იქნება დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმით გათვალისწინებული მიდგომები და მეთოდოლოგია.

## **5.2 სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასებისთვის საყურადღებო ეროვნული კანონმდებლობა და პროცესები**

შავი ზღვის გალურჯების პროექტი „საერთო საზღვაო დღის წესრიგის“ და მისი მონაწილე ქვეყნების: ბულგარეთის, საქართველოს, მოლდოვის რესპუბლიკის, რუმინეთის, რუსეთის ფედერაციის, უკრაინის და თურქეთის, ერთ-ერთი მხარდამჭერი ინიციატივაა. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი პროექტი ცოდნის გაზიარების და სტანდარტების ჩამოყალიბების მხრივ სარგებელს მოუტანს შავი ზღვის აუზის ყველა ქვეყანას, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის გადაწყვეტილებით, შავი ზღვის არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ეროვნული დონის აქტივობებს ადგილი ექნებათ მხოლოდ შემდეგ ოთხ ქვეყანაში: საქართველოში, მოლდოვაში, თურქეთსა და უკრაინაში.

სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება წარმოადგენს მსოფლიოში უფრო და უფრო ფართო გამოყენების მექანიზმებს, და ყველა ზემოხსენებული ოთხი ქვეყნას, გააჩნია ეროვნული საკანონმდებლო ბაზა, ამ მექანიზმების ამოქმედებისათვის. თითოეული ქვეყნის შესაბამისი საკანონმდებლო აქტები, ძირითადად ითვალისწინებს ევრო პარლამენტის და ევროსაბჭოს (ევროკავშირის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების დირექტივა) 2001/42/EC დირექტივის მოთხოვნებს, ამასთან, შესაბამისი კანონები და რეგულაციები, მოიცავს ან დასათაურებულია სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების დასახელებით.

**საქართველოს კანონი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესახებ (No. 890-III of 2017)**

კანონი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესახებ ძალაში შევიდა 2017 წლის 7 დეკემბერს და ის არეგულირებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების განხორციელების პროცესს, პროცედურებს და კვლევებს საქართველოს ტერიტორიაზე. კოდექსი შედგება რვა ნაწილისგან:

1. ზოგადი დებულებები
2. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება
3. სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება
4. ამ კოდექსით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა
5. გარემოზე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შეფასების პროცედურა
6. საექსპერტო კომისია
7. გარემოსდაცვით შეფასების სფეროში კონტროლი და პასუხისმგებლობა
8. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

ეს კოდექსი არეგულირებს ისეთ სტრატეგიულ დოკუმენტთან და სახელმწიფო ან კერძო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომელთა განხორციელებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე, ადამიანის სიცოცხლეზე ან/და ჯანმრთელობაზე, ასევე მიზნად ისახავს, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკების სტანდარტების დანერგვას გარემოზე ზემოქმედების შეფასების და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცედურების დანერგვის დროს.

**მოლდოვას კანონი სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ (No. 11 of 2017)**

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების კანონი ძალაში შევიდა 2017 წლის 2 მარტს. კანონის მიზანია სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისთვის იურიდიული საფუძველის შექმნა, რომელიც ემსახურება გარემოს დაცვის მაღალი დონის, გარემოზე ნეგატიური გავლენის შემცირების და შეზღუდვის უზრუნველყოფას, მათ შორის კონკრეტული გეგმების და პროგრამების ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებულ შედეგებს.

ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე შემუშავებული გეგმების და პროგრამების სამუშაო დოკუმენტები, რომლებსაც შესაძლებელია ჰქონდეთ მნიშვნელოვანი გავლენა მოლდოვის რესპუბლიკის ან მის მოსაზღვრე ქვეყანის გარემოზე, ექვემდებარება სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებას. სტრატეგიულ გარემოსდაცვითი შეფასება ხორციელდება იმ გეგმების და პროგრამების მიმართებაში, რომლებიც ეხება სოფლის მეურნეობას, სატყეო, თევზჭერის, ენერჯეტიკის, ინდუსტრიული, სატრანსპორტო, ნარჩენების გადამუშავების, წყლის რესურსების გამოყენების, ელექტრონული კომუნიკაციის, ტურიზმის, მიწის მართვის, ურბანული და სასოფლო დაგეგმარების სფეროებს (ურბანული განვითარების და



ტერიტორიის მოწყობის დოკუმენტაციის, ტერიტორიის მოწყობის ეროვნული, რეგიონული და რაიონული, ასევე ზოგადი საქალაქო დაგეგმარების გეგმების და პროგრამების ჩათვლით). შესაბამის უფლებამოსილების მქონე ორგანოსთან ხელშეკრულების გაფორმებით, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ინიციატორი უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის და საზოგადოების მონაწილეობას, გეგმების და პროგრამების სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებაში.

კანონი შედგება ექვსი ნაწილისგან:

1. ზოგადი დებულებები
2. სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ეტაპები
3. ტრანსსასაზღვრო კონსულტაციები
4. გეგმების და პროგრამების დამოწმება
5. ვალდებულებების და დავების მართვა
6. დასკვნითი და გარდამავალი დებულებები

***თურქეთის დებულება სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ (No. 30032 of 2017)***

დებულება სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ ძალაში შევიდა 2017 წლის 8 აპრილს. დებულება მიზნად ისახავს ტექნიკური და პროცედურული საკითხების დარეგულირებას, რომლებიც ეხება სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების განხორციელებას, გარემოზე მნიშვნელოვანი პოტენციური გავლენის მქონე გეგმების/პროგრამების დაგეგმვის და დამტკიცების პროცესებში გარემოსდაცვითი ფაქტორების ინტეგრირების მიზნით. რეგულაციის საბოლოო მიზანია გარემოსდაცვა და განვითარება, მდგრადი განვითარების პრინციპების მიდევნება და განვითარება.

დებულება ფარავს გეგმებს და პროგრამებს ნარჩენების გადამუშავების, თევზჭერის, ენერგეტიკის, სახმელეთო ზონების მმართველობის, ტერიტორიული დაგეგმარებას, სატყეო, ინდუსტრიული, წყლის რესურსების გამოყენების, აგრარული, სატელეკომუნიკაციო, ტურიზმის და სატრანსპორტო დარგებში და არეგულირებს სტრატეგიულ გარემოსდაცვით და სოციალურ შეფასებასთან და სტრატეგიულ გარემოსდაცვით და სოციალურ შეფასებასთან დაკავშირებული შესაძლებლობების გაძლიერების/სწავლების მომზადებას, დამტკიცებას და მონიტორინგს.

რეგულაცია შედგება ოთხი ნაწილისგან:

1. მიზანი, მოცულობა, საფუძველი, ევროკავშირის ნორმატიულ აქტებთან და დეფინიციებთან შესაბამისობა
2. ზოგადი დებულებები
3. სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების განხორციელების პირობები
4. დასკვნითი და გარდამავალი დებულებები

## **უკრაინის კანონი სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ (No. 2354-VIII of 2018)**

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შესახებ კანონი მიღებული იყო 2018 წლის 20 მარტს და ძალაში შევიდა 2018 წლის 2 ოქტომბერს. კანონი არეგულირებს სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების განხორციელებას და შეიცავს, საზოგადოების ჯანმრთელობაზე გავლენის შეფასებას, სახელმწიფო დაგეგმვის დოკუმენტაციის შემუშავებას, რაც მოიცავს სოფლის მეურნეობის, სატყეო, თევზჭერის, ენერგეტიკული დარგის, ინდუსტრიული, სატრანსპორტო, ნარჩენების გადამუშავების, წყლის რესურსების გამოყენების, გარემოს დაცვის, სატელეკომუნიკაციო, ტურიზმის, ურბანული დაგეგმარების ან მიწის აზომვის (სქემების) სახელმწიფო დაგეგმვის დოკუმენტებს.

აღნიშნული კანონი შედგება ექვსი ნაწილისაგან:

1. ზოგადი დებულებები
2. სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების საკითხებზე უფლებამოსილება
3. სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების განხორციელების პროცედურები
4. ტრანსსასაზღვრო კონსულტაციები
5. სახელმწიფო დაგეგმვის დოკუმენტის და მონიტორინგის განხორციელების დამტკიცება
6. დასკვნითი და გარდამავალი დებულებები

გარემოს სტრატეგიული შეფასების მიზანი უნდა იყოს მდგრადი განვითარების ხელშეწყობა, გარემოს დაცვის, ადამიანის ცხოვრებისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების და დაცვის, განვითარების პროცესში გარემოს მოთხოვნების ინტეგრაციისა და სახელმწიფო დაგეგმვის დოკუმენტაციის დამტკიცების უზრუნველყოფის გზით.

### **6. შეფასების ჩატარების ფარგლები**

სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება განხორციელდება როგორც პროცესი და არა ზემოქმედების ერთჯერადი შეფასება, რომელიც განვითარდება ეროვნული ინვესტიციების რეკომენდაციების/გეგმების პარალელურად და შექმნის დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პლატფორმას, რათა ხელი შეუწყოს დაინტერესებული მხარეების უფრო ფართო ჩართულობის მუდმივობას. სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება ჩატარდება 2 მთავარ ეტაპად სამუშაოს მოცულობის წინასწარი დადგენა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება.

სამუშაოს მოცულობის წინასწარი დადგენა განსაზღვრავს ძირითად საკითხებს, რომლებიც შეფასების კვლევაში უნდა იყოს განხილული კონკრეტული კონტექსტის გათვალისწინებით, სადაც ეროვნული ინვესტიციის გეგმა მუშავდება და სავარაუდოდ დაინერგება. სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების დეტალური

ქმედებები და სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების სამუშაო გეგმა შემუშავდება სამუშაოების მოცულობის წინასწარი კვლევის საფუძველზე. ის აქტივობები/დავალეები, რომლებიც ჩატარდება წინასწარი კვლევისა და შეფასების ფაზებში ქვემოთ არის აღწერილი.

სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესში დაინტერესებულ მხარეები ჩართული იქნებიან ამ პროცესის ყველა მნიშვნელოვან საკითხში, სადაც ხდება კვლევის ფარგლების დადგენა და ძირითადი გარემოსდაცვითი და სოციალური პრობლემების გამოყოფა; როცა მუშავდება მნიშვნელოვანი ზემოქმედებებისათვის შემარბილებელი ზომები და იქმნება სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების ანგარიშის მაკეტი.

შესაბამისად, დაინტერესებული მხარეები ჩაერთვებიან სხვადასხვა დონეზე, როგორცაა ადგილობრივი, ეროვნული და რეგიონული დონეები. მიღებული წინადადებები და კომენტარები, რომლებიც საკონსულტაციო შეხვედრების დროს გაჩნდა, გაერთიანდება სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასებაში და თავად ეს შეფასებები უზრუნველყოფენ წინადადებების შეტანას მასთან დაკავშირებულ გეგმებში. სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების განხორციელება ისე მოხდება, რომ ცოდნას საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკების შესახებ გადასცემენ დაინტერესებული მხარეებს.

## **6.1 სკოპინგი**

სკოპინგის ამოცანაა შეაფასოს მასშტაბი და ხარისხი გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა / ზემოქმედებებისა და უზრუნველყოს საინვესტიციო გეგმის განხილვა. ეს კვლევა ჩატარდება დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებების მნიშვნელოვანი გათვალისწინებით. სკოპინგის ჩატარების ეტაპები დოკუმენტის შემდეგ განყოფილებებშია აღწერილი.

### **6.1.1 საინვესტიციო გეგმის აღწერა და პოლიტიკის, ინსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩოს მიმოხილვა**

სტრატეგიული საინვესტიციო გეგმა, რომელიც სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების განსახილველ სფეროს მიეკუთვნება, აღწერილი იქნება პოტენციურ ალტერნატივებთან ერთად. ამავე კონტექსტში იქნება განხილული და შეჯამებული შესაბამისი პოლიტიკა, ინსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩო (ყურადღება მიექცევა იმ შემთხვევებს, როცა ისინი დაკავშირებულები არიან გარემოსა და კლიმატის ცვლილებებთან და სოციალურ საკითხებთან) .

სექტორის პოლიტიკის შემუშავებისა და/ან დაგეგმვის პროცესი აღწერილი იქნება განსახილველ ალტერნატიულ ვარიანტებთან ერთად. იქ, სადაც უკვე არსებობს დარგობრივი სტრატეგიული დოკუმენტი, მისი მთავარი დამახასიათებელი ნიშნების აღწერა მოხდება. გარდა ამისა, განხილული იქნება ნებისმიერ ხელმისაწვდომი გეგმა, პროგრამა, კვლევა და

დოკუმენტი (როგორცაა გენგემა, სტრატეგიული დოკუმენტები, გარემოსდაცვითი და სოციალური კვლევები), რომელიც დაკავშირებულია შეთავაზებულ ინვესტიციასთან). ამ კონტექსტში მოხდება კონტაქტი შესაბამის ეროვნულ და ადგილობრივ უწყებებთან.

### **6.1.2 საჭირო საბაზისო ინფორმაციის მოცულობის აღწერა. საბაზისო ინფორმაციის შეგროვება**

აღწერილი იქნება მოცულობა და მასშტაბი შესაგროვებელი საბაზისო მონაცემებისა, რომელიც სტრატეგიული გარემოსდაცვით და სოციალურ შეფასებასთანაა დაკავშირებული და განსახილველი საინვესტიციო გეგმის კონტექსტი. განსაზღვრული იქნება როგორც შესაგროვებელი ინფორმაცია/მონაცემები, ასევე პოტენციური საინფორმაციო რესურსები.

შესაგროვებელ ინფორმაციაში შევა, სულ ცოტა, ბიომრავალფეროვნების სტატუსი, დაცული ტერიტორიების არსებობა და ადგილმდებარეობა, ეკოლოგიურად სენსიტიური/ მგრძობიარე ადგილები, ბუნებრივი და კრიტიკული საცხოვრებელი არეალი, ფლორისა და ფაუნის ძვირფასი სახეობები, ბუნებრივი რესურსების მართვის გეგმები და ტენდენციები, მოვლენები, რომლებსაც სავარაუდოდ გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედება ექნებათ; დემოგრაფიული, ეთნოგრაფიული და სოციალური მონაცემები ადგილობრივი მოსახლეობის შესახებ, მათ შორის, მონაცემები ეკონომიკურ საქმიანობაში ქალთა მონაწილეობის, სეზონური და მიგრანტი მუშების მონაწილეობის შესახებ სოფლის მეურნეობისა და მსგავს სექტორებში ბავშვთა შრომის გამოყენების პრობლემები, სქესზე დაფუძნებული ძალადობის სიჭარბე, ინ სოციალური ჯგუფების დადგენა, რომლებიც ვერ მიიღებენ ამ პროექტიდან სარგებელს, არსებული ასოციაციები და თემების ჩართულობის და დაინტერესებულ პირთა კონსულტაციების საშუალებები და შესაბამისი სექტორებისა და ქვეყანაში არსებული დაუცველი/ მოწყვლადი ჯგუფების პოლიტიკის, სამართლებრივი, მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩოები. მასში ასევე შევლენ მიზნობრივად შერჩეული გეოგრაფიული ერთეულები.

### **6.1.3 ძირითადი ასპექტების დადგენა (ზემოქმედებისა და ალტერნატიული ვარიანტების ტიპები) რომლებსაც შეისწავლის სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება**

პოლიტიკის, ინსტიტუციური და სამართლებრივ ჩარჩოზე და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების მიმოხილვის საფუძველზე გასათვალისწინებელი და შესაფასებელი ძირითადი გარემოსდაცვითი და სოციალური ასპექტები და მათი ზემოქმედებები, ასევე შესაფასებელი ალტერნატივები შევლენ სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების კვლევაში. არსებული ალტერნატივები შეთავაზებული გეგმის კონტექსტში შეფასდებიან. პოტენციური რისკებისა და ზემოქმედებების მაღალი დონის შეფასება გამხორციელდება, რათა მოხდეს აღნიშნული რისკებისა და ზემოქმედებების დაყოფა კუმულატიურ, მეორად და სინერგიულ, მოკლე, საშუალო და გრძელვადიან ზემოქმედებად და დაგინდეს არიან თუ არა ისინი მუდმივმოქმედი თუ დროებითი. ეს ზემოქმედებები შემდგომში დეტალურად იქნება

შესწავლილი/ შეფასებული სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების კვლევაში და შემუშავდება მათი შესაბამისი შემარბილებელი ზომები.

ძირითადი ასპექტები/ზემოქმედებები, რომლებიც სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების კვლევაში იქნებიან განხილული, განისაზღვრებიან, როგორც გარემოზე, საზოგადოებაზე და ბუნებრივ რესურსებზე პოტენციური სერიოზული ზემოქმედებების მქონენი, ასევე როგორც მთავარი ვარიანტები შეთავაზებული გეგმისა, რომელმაც წვლილი უნდა შეიტანოს გარემოსა და კლიმატის მდგრადობაში და შავი ზღვის რეგიონში ლურჯი ეკონომიკის განვითარებაში.

#### **6.1.4 ძირითად დაინტერესებულ მხარეთა აღწერა და მათი ჩართულობა/კონსულტაციები**

შეთავაზებული გეგმის/პროგრამის ძირითადი დაინტერესებული მხარეები დადგინდებიან და მათი ინტერესები, პრობლემები და სტიმულები გაანალიზდება. დაინტერესებულ მხარეთა ანალიზის მიზანია მთავარ დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფები გამოავლინოს სექტორში, მთავარ დაწესებულებებთან და სააგენტოებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ადგილობრივ/პოტენციურად ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემებთან და მოწყვლად და მარგინალიზებულ ჯგუფებთან ერთად.

ამ ნაბიჯის კიდევ ერთი მიზანი დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის სამუშაო გეგმის შემუშავებაა, მათ შორის, კონსულტაციებისაც, რაც უზრუნველყოფს, რომ მათ ინტერესები, პრობლემები და რჩევები გათვალისწინებული იქნება სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასებაში. დიდი გეოგრაფიული ტერიტორიებიდან გამომდინარე, რომელიც უნდა აისახოს გეგმებში/პროგრამებში, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობამ ყურადღება უნდა გაამახვილოს მთავარ დაინტერესებულ მხარეებზე და მიზნად დაისახოს ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან ერთად ყურადღება მიაქციოს პირდაპირი ზემოქმედების ქვეშ მყოფ და დაუცველ ჯგუფებს.

სამუშაოთა მოცულობის წინასწარი კვლევის ფაზაში ჩატარდება სემინარი დაინტერესებულ მხარეებთან, რათა მოხდეს დადგენილი ძირითადი ასპექტების/ ზემოქმედებების დასაბუთება. სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების კვლევებში განსახილველი ძირითადი ასპექტები/ ზემოქმედებები დასრულებულ სახეს მიიღებენ და საბოლოო ვერსიაში შეფასებების კვლევა გაითვალისწინებს სემინარის შედეგებს.

ამასთანავე, როგორც სამუშაოთა მოცულობის წინასწარი კვლევის ნაწილი, საჭიროა სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების კვლევების მასშტაბისა და დეტალების დონის დასადგენი შეხვედრა (ანგარიშის პროექტის ფაზაში), რომელიც ჩატარდება შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან. ამ დაინტერესებულ მხარეებში უნდა აუცილებლად შედიოდნენ როგორც ინსტიტუციური (მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციებიც), ასევე მათთან დაკავშირებული საზოგადოება/ ადგილობრივები ან მათი წარმომადგენლები.

### **6.1.5 სკოპინგის ანგარიში**

სკოპინგის ანგარიშის სამუშაო ვარიანტი მომზადდება დანართი 1-ში შეთავაზებული შინაარსის მიხედვით. იგი განსახილველად უნდა წარედგინოს შესაბამის ეროვნულ სააგენტოებს, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციასა და მსოფლიო ბანკს. შემდგომში ის წარედგინება დაინტერესებულ მხარეთა შეხვედრების დამსწრეებს.

სკოპინგის ანგარიშის პროექტის საბოლოო ვერსია მომზადდება იმ გამოხმაურებებისა და წინადადების საფუძველზე, რომელიც დაინტერესებულ მხარეთა შეხვედრებისა და შესაბამისი სააგენტოების განხილვის შედეგად იქნება შეგროვებული და გადაეგზავნება შესაბამის ეროვნულ სააგენტოებსა და მსოფლიო ბანკს. ეს ანგარიში სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების კვლევისათვის იქნება ტექნიკური დავალება, რომელიც ასევე უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

- ინსტიტუციური ღონისძიებები და ვადები შეთანხმებული ეროვნულ კომპეტენტურ ორგანოსთან, სხვა ძირითად პარტნიორებთან და მსოფლიო ბანკთან სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების კვლევის განხორციელების მიზნით.
- სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების კვლევის სამუშაო გეგმა, რომელიც აღწერს მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის მთავარ აქტივობებს, მათ შორის, შრომის შესასრულებელ მეთოდოლოგიასა და გრაფიკს, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმებსა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების კვლევის ანგარიშის სარჩევს (დანართების ჩათვლით)
- მოსალოდნელი შედეგები და ანგარიშგების გრაფიკი

### **6.2 სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება**

სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების კვლევა დაეყრდნობა სამუშაოების მოცულობის წინასწარი კვლევის ფაზას (სამუშაოების მოცულობის წინასწარი კვლევის ანგარიშის დამტკიცების შემდეგ) და მასში შევა შეთავაზებული გეგმის აღწერილობა და მისი კავშირი ეროვნული და რეგიონული გარემოსდაცვით ამოცანებთან, დადგინდება ძირითადი გარემოსდაცვითი სოციალური საკითხები და საბაზისო კვლევები, გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასება და მათი შერბილების ზომები, ალტერნატიული ვარიანტებისა და ინტერესებულ მხარეთა ჩართულობის/კონსულტაციების შეფასება. სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების კვლევის ეს ამოცანები შემდეგ განყოფილებებშია აღწერილი.

#### **6.2.1 საკვანძო გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების დადგენა და საწყისი მდგომარეობის აღწერა**

სკოპინგის დამტკიცებულ ანგარიშზე დაყრდნობით, დადგენილი იქნება საკვანძო გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხები, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი, ასევე ისეთი რისკები, როგორცაა კლიმატის რისკები, რათა დადგინდეს გარემოსდაცვითი

და სოციალური საკითხების პრიორიტეტები. ამისათვის აუცილებელია, რომ ჩამოყალიბდეს შესაბამისი კრიტერიუმები, რომ მოხდეს გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების პრიორიტეტების გამოყოფა. რამდენადაც შესაძლებელია კრიტერიუმები უნდა ჩამოყალიბდეს, ისე, რომ მოხდეს რისკებისა და პრობლემების რაოდენობრივი შეფასება და ალტერნატიული ვარიანტებისა და კომპრომისების ობიექტური შედარება და კატეგორიზაცია.

უნდა მოხდეს გარემოს მიმდინარე მდგომარეობის აღწერა და შეფასება. ყურადღება უნდა მიექცეს იმ საკვანძო გარემოსდაცვით კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრულია სამუშაოების მოცულობის წინასწარი კვლევაში და აუცილებელია ჩამოყალიბებული საკვანძო საკითხების უკეთესი გაგებისათვის. აუცილებელია განისაზღვროს სხვადასხვა გარემოსდაცვითი და სოციალური კომპონენტების ტენდენციები და ზეწოლა..

ქვემოთ მოხსენიებული გარემოსდაცვითი და სოციალური პრობლემები წარმოადგენენ საკვანძო საკითხების წინასწარ ზოგად ჩამონათვალს, რომლებიც სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების კვლევასა და მონაცემთა წინასწარ შეგროვებაში უნდა შედიოდეს. ამ კონტექსტში, არსებული მონაცემები, კამერალური და სავლე კვლევები საჭიროებისამებრ იქნება ჩატარებული არსებული მონაცემების შესაგროვებლად, რომლებიც აღწერენ საწყის პირობებს, რომელიც თავის მხრივ, შექმნის საფუძველს შეფასებისა და მართვის ზემოქმედებისათვის.

ძირითადი გარემოსდაცვითი პრობლემები, რომლებიც უნდა განხილული იყოს საწყისი პირობების აღწერისას უნდა მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს, შემდეგი საკითხებით:

- ძირითადი რუკა იმ ტერიტორიისა, რომელზეც მოხდება ზემოქმედება საინვესტიციო გეგმის გამო (დამოკიდებულია შეთავაზებული გეგმის ბუნებაზე).
- ტოპოგრაფიული და გეოგრაფიული მახასიათებლები.
- ბუნებრივი რესურსები, რომელიც უნდა გამოიყენონ (და მათი ახლანდელი მდგომარეობა) და რომლებზეც ზემოქმედება მოხდება.
- ბიომრავალფეროვნების დახასიათება, მათ შორის, ბიომრავალფეროვნების ცხელი წერტილები, ეკოლოგიურად მგრძობიარე ადგილები (მაგ. ჭაობები) და დაცული ტერიტორიები და სახეობები, რომლებიც წამოადგენენ ბუნების დაცვის ან კომერციულ ინტერესს.
- არსებული ინფრასტრუქტურა, (მაგ. მაგისტრალები, რკინიგზის სადგურები, ნავსადგურები, მილსადენები, სარწყავი სისტემები, ელექტროსადგურები და ა.შ.
- კლიმატის დახასიათება და ადგილები, რომელიც უფრო მოწყვლადია კლიმატთან დაკავშირებით და სადაც ხშირად ხდება სტიქიური უბედურებები (მაგ. წყალდიდობა, გვალვა და ა.შ.) კლიმატის ცვლილება
- გარემოს ხარისხობრივი მახასიათებლები (მაგ. წყალი, ნიადაგი, ჰაერი)

საკვანძო სოციალური საკითხები რომლებიც უნდა განხილული იყოს საწყისი პირობების აღწერისას უნდა მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს, შემდეგი საკითხებით:

- სოციალური და ეკონომიკური დახასიათება და პირობები ადგილებისა, რომლებიც სავარაუდოდ გეგმის ზემოქმედების ქვეშ აღმოჩნდებიან, შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით; განსახლება და დემოგრაფიული დახასიათება, სოციალური ინფრასტრუქტურა (ჯანდაცვა, განათლება, და სხვა)
- დემოგრაფიული მაჩვენებლები, რომლებიც მოიცავენ მაცხოვრებლებს, მათი სქესისა და ასაკის სტრუქტურას, ასევე ეთნიკური უმცირესობისა და ლტოლვილების არსებობას მოსახლეობაში.
- მოწყვლადი ჯგუფები და სიღარიბე
- ეკონომიკური აქტივობები, მიწით სარგებლობა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა (როგორცაა სამთო მრეწველობა, განახლებადი ენერჯის წარმოება, სოფლის მეურნეობა, თევზსაჭერები, მილსადენები და სხვა)
- მიწით სარგებლობა (მაგ. სოფლის მეურნეობა, საძოვრები, ტყეები, ინდუსტრიული ზონები და სხვა)
- არსებობის საშუალებები
- სამუშაო ძალის სტრუქტურა (სქესი, ბავშვთა შრომა, სეზონური და მიგრანტი მუშები, არაფორმალური მიწით მოსარგებლები)

საწყისი პირობები შეფასდება პოტენციური გარემოსდაცვითი სტრესის და კონკრეტული სოციალური პრობლემების განსაზღვრისათვის. კონკრეტული გარემოსდაცვით და სოციალური პრობლემები განხილული იქნება ადგილობრივ და ძირითად დაინტერესებულ მხარეთა კონსულტაციების საფუძველზე რათა დადგინდეს მათი მნიშვნელობა ეროვნული კომპეტენტური ორგანოს და მსოფლიო ბანკის თანხმობის შემდეგ.

### **6.2.2 გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასება და შემარბილებელი ზომების შემუშავება**

გეგმით/პროგრამით შეთავაზებული აქტივობები შეფასდება გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების გათვალისწინებით და პრიორიტეტები და მოსაზრებები/რჩევები უზრუნველყოფილი იქნება საჭიროების შემთხვევაში ამ აქტივობების ცვლილებით.

სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება საპროექტო აქტივობების პოტენციურ გარემოსდაცვით და სოციალურ ზემოქმედებას შეაფასებს და შეთავაზებს, რომ შემარბილებელი ზომები გაერთიანებული იყვნენ შეთავაზებული გეგმის ფარგლებში..

შეფასებაში შევა პროექტის ზემოქმედება დარგებზე, საარსებო საშუალებებზე, სოციოეკონომიკურ და გარემოსდაცვით საკითხებსა და რისკებზე, ადამიანთა უსაფრთხოებაზე, დასაქმებაზე, საზოგადოების ჯანმრთელობის და უსაფრთხოების და ა.შ.



საკითხებზე როგორც პირდაპირ, ასევე ირიბი ზემოქმედების ადგილებზე. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანი და აუცილებელია განისაზღვროს პროექტის ზეგავლენისა და პროექტის განხორციელების ადგილები.

ზემოქმედების შეფასების მეთოდოლოგია უნდა შეირჩეს შეთავაზებული სტრატეგიული ჩართულობის გეგმის ბუნებისა და მასშტაბების გათვალისწინებით და განისაზღვროს სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალურ შეფასების ანგარიშში. ზემოქმედების შეფასების მეთოდოლოგიას უნდა ჰქონდეს შემდეგი მიდგომა:

- ზემოქმედების შეფასებაში შევა გავლენის არეში მყოფი როგორც უარყოფითი, ასევე დადებითი გარემოსდაცვითი და სოციო-ეკონომიკური ზემოქმედებები.
- მეთოდოლოგია და კვლევის სფერო უნდა შემუშავდეს ქვეყნისა და რეგიონის პირობებისათვის ყველაზე ფუნქციური მეთოდების განსაზღვრით, არსებული დოკუმენტების, პირველადი და მეორადი მონაცემებისა და რესურსების დეტალური განხილვის საფუძველზე.
- ზემოქმედების შეფასებისათვის უნდა გამოიყენონ როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი მეთოდები.
- ზემოქმედების შეფასება გააგრძელებს სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებას, გეგმის/პროექტის განხორციელებისას პროექტების/ქვეპროექტების საშუალებით, ასე რომ შესაბამისი მაჩვენებლები და შეფასების ინსტრუმენტები უნდა განისაზღვროს სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების ანგარიშში.
- მონიტორინგის ზომები/გეგმები, როლებიც შეიქმნა შემუშავებული შემარბილებელი ზომებისათვის და გარემოსდაცვითი ხარისხისა და პირობების ცვლილებებზე დაკვირვებისათვის, განხორციელდება გეგმის რეალიზაციის დროს.

### **6.2.3 ალტერნატიული ვარიანტების შეფასება**

სტრატეგიულმა გარემოსდაცვითმა და სოციალურმა შეფასებამ უნდა დაადგინოს შეთავაზებული ქმედებების ალტერნატივები ისეთი შემთხვევებისათვის, სადაც პროექტის კომპონენტებს შეუძლიათ უარყოფითი ზემოქმედება მოახდინონ გარემოზე ან ადგილობრივ თემებზე და უნდა განიხილონ ის რეკომენდაციები, რომლებიც გადაწყვეტენ ძირითადი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებების საკითხებს და /ან გაითვალისწინონ აქტივობების დაგეგმვის დროს. ამ კონტექსტში გეგმაში ასახული ალტერნატივები, მათ შორის, უმოქმედობის სიტუაციაც იქნება გაანალიზებული მათი სავარაუდო გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებიდან გამომდინარე.

ალტერნატიული ვარიანტების ანალიზმა უნდა გაითვალისწინოს გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შერბილების შესაძლებლობა შეთავაზებული ქმედებებისთვის. გარდა ამისა, ალტერნატიული ვარიანტების შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ალტერნატიული შემარბილებელი ზომების ხარჯები და მათი შესაბამისობა ადგილობრივ პირობებთან, ალტერნატივების შეფასებისათვის ასევე უნდა იყოს

გათვალისწინებული მათი განხორციელებისათვის საჭირო ინსტიტუციური განვითარება/სწავლება.

#### **6.2.4 დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა და საჯარო კონსულტაციები**

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა იქნება სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების კვლევის წამყვანი კომპონენტი და აგებული იქნება წინასწარი კვლევის ფაზის დასკვნებსა და შედეგებზე. ამ კონტექსტში კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარდება როგორც სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების კვლევის პერიოდში, სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების ანგარიშის შესამუშავებლად, ასევე სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების ანგარიშის პროექტის მომზადების შემდეგაც.

კონსულტაციით დაინტერესებულ მხარეთა სია განისაზღვრება დაინტერესებულ მხარეთა დადგენის საფუძველზე, რომელიც ჩატარდება წინასწარი კვლევის ფაზაში. შესაფერისად უნდა ჩაითვალოს დაინტერესებულ მხარეთა შემდეგი ჯგუფები/დარგები, როგორცაა თევზჭერა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, ინდუსტრიული ჯგუფები, დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციები, ეროვნული და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, კვლევითი და სამეცნიერო წრეები, ეროვნული დაწესებულებები და ორგანიზაციები დაკავშირებული გარემოს დაცვის, მიწის, წყლის და ტყის რესურსების საკითხებთან, ადგილობრივი თემების წარმომადგენლების დაუცველი/მოწყვლადი ჯგუფების ჩათვლით.

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა უნდა განხორციელდეს თავისუფალი, წინასწარ შერჩეული და ინფორმირებული ფორმით, ადგილობრივ ენებზე და კულტურული მახასიათებლების გათვალისწინებით, რათა მოხდეს საკონსულტაციო შეხვედრებში მათი გონივრული მონაწილეობა და მოიპოვოს საზოგადოების ფართო მხარდაჭერა სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების პროცესის მხარდასაჭერად. კონსულტაციების ჩატარების საშუალებების საკითხი გადაწყდება ეროვნულ კომპეტენტურ ორგანოსთან ერთად. ეს იქნება საჯარო შეხვედრები, სემინარები, ფოკუს ჯგუფებთან და კონკრეტულ ჯგუფებთან შეხვედრები (კონკრეტულ პრობლემებთან და/ან ადგილებთან დაკავშირებით). თუ COVID-19 პირობები დომინირებს, ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთი შეხვედრა მაინც უნდა ჩატარდეს თუ უზრუნველყოფილი იქნება სესაბამისი დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა.

სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების ანგარიშის პროექტი უნდა ჩაბარდეს ეროვნულ კომპეტენტურ ორგანოსა და მსოფლიო ბანკს. მათი თანხმობის შემთხვევაში, სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების ანგარიშის სამუშაო ვარიანტი (შესაბამისი ქვეყნის ეროვნულ ენაზე) გასაჯაროვდება შესაფერის ადგილებში. სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების ანგარიშის საჯარო გაზიარებიდან, როგორც მინიმუმ, ორი კვირის განვლის შემდეგ ჩატარდება კონსულტაციები ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან. შესაძლებლობის

ფარგლებში, ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციები იწარმოებს ადგილობრივ ენაზე ქვეყნისათვის შესაბამისი კულტურული და გენდერული ფორმით. ადგილობრივი კონსულტაციებიდან მიღებული მოსაზრებები აისახება სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების ანგარიშის პროექტის საბოლოო ვერსიაში.

### **6.2.5 სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების ანგარიში**

სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების ანგარიში შემუშავდება სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების კვლევის საფუძველზე და მომზადდება დანართი 2-ში შეთავაზებული შინაარსის შესაბამისად. როგორც მინიმუმ, ამ კონტექსტში ანგარიში უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

- განსახილველი გეგმის ვარიანტების აღწერა, მისი მთავარი სოციალური და გარემოსდაცვითი მოსაზრებები და მის განხორციელებასთან დაკავშირებული სხვადასხვა რისკები.
- პოლიტიკის, მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩოს გეგმა.
- პოტენციური ზემოქმედებების, როგორც დადებითის, ასევე უარყოფითის, აღწერა რომელიც გეგმის განხორციელების აქტივობებიდან გამომდინარეობს და ამ ზემოქმედებების გეოგრაფიული/ სივრცობრივი განაწილება, შეფასების ალტერნატივების ჩათვლით.
- კონკრეტული ინსტიტუციური შესაძლებლობების საჭიროებების ანალიზი და რეკომენდებული შესაძლებლობების განვითარების აქტივობების გეგმა.
- ტექნიკური დახმარების მოთხოვნა საჯარო და კერძო სექტორებისათვის, თემებისათვის და მომსახურების მიმწოდებლებისათვის.
- დაინტერესებულ პირთა ჩართულობა და საჩივრების განხილვის მექანიზმები.

სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების ანგარიშის პროექტი განსახილველად გადაეცემა შესაბამის ეროვნულ სააგენტოებს, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციასა და მსოფლიო ბანკს. ამ სააგენტოების თანხმობის საფუძველზე ანგარიშის პროექტი გასაჯაროვდება/ გაეცნობა საზოგადოებას და კონსულტაციას გაივლის დაინტერესებულ პირებთან.

სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების ანგარიშის საბოლოო ვერსიაში შევა მოსაზრებები/ გამოხმაურებები როგორც საკონსულტაციო საქმიანობების შესახებ, ასევე გამოხმაურებები ეროვნული სააგენტოებიდან, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციასა და მსოფლიო ბანკიდან. სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების ანგარიში მომზადდება ინგლისურ და შესაბამისი ქვეყნის ენებზე.

## 7. კონსულტანტის კვალიფიკაცია და სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების ჯგუფის შემადგენლობა

სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება ჩატარდება საკონსულტაციო კომპანიის და/ან კონსორციუმის (კონსულტანტის) მიერ, რომელიც ამ პროექტისათვის შეიქმნება. კონსულტანტი უნდა ფლობდეს შემდეგი სახის კვალიფიკაციებს:

- საერთაშორისო გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების სფეროში მუშაობის გამოცდილება;
- სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების ცოდნა და გამოცდილება;
- ცოდნა და სამუშაო გამოცდილება გამოცდილება მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური ჩარჩოსა და მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სახელმძღვანელო მითითებების საკითხებში;
- მსგავსი ტიპის პროექტებში მონაწილეობის გამოცდილება;
- კადრების საკმარისი შესაძლებლობები (როგორც რაოდენობის, ასევე კვალიფიკაციის მხრივ), რათა შემდგომ ტექნიკურ დავალებაში განსაზღვრული სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების მომზადების სამუშაოების შესრულება.

სავარაუდოდ, გუნდის შემადგენლობაში შევლენ როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი ექსპერტები, უპირატესობად ჩაითვლება შესაბამისი ქვეყანაში და სექტორში მუშაობის გამოცდილება, ისევე როგორც მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური ჩარჩოსა და მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სახელმძღვანელო მითითებების ცოდნა.

სავარაუდოდ, კონსულტანტის გუნდს უნდა ჰქონდეს, სულ მცირე, შემდეგი გამოცდილება:

- **სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების ექსპერტი/გუნდის ხელმძღვანელი** (შესაბამისი პროფესიული გამოცდილება არანაკლებ 10 წლისა, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების/ სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების, გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების დასაბუთებული გამოცდილება, აქვს გუნდის ხელმძღვანელად მუშაობის გამოცდილება 3 პროექტში და იცნობს მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვით და სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკას/ სტანდარტებს).
- **გარემოსდაცვის სპეციალისტი** (არანაკლებ 5 წლის გამოცდილება გარემოსდაცვით და სოციალურ შეფასებაში და უნდა იცნობდეს როგორც შესაბამისი ქვეყნის ეროვნულ წესებსა და რეგულაციებს, ასევე მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვით და სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკას/ სტანდარტებს).
- **სოციალური/ დაინტერესებულ მხარეებთან ჩართულობის სპეციალისტი** (უნდა ჰქონდეს არანაკლებ 5 წლის გამოცდილება სოციალური შეფასებისა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის საკითხებში და იცნობდეს ეროვნულ/

რეგიონულ პირობებსა და მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვით და სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკას/ სტანდარტებს).

- **ბიომრავალფეროვნების / ბუნებრივი რესურსების სპეციალისტი** (უნდა ჰქონდეს არანაკლებ 5 წლის გამოცდილება ბიომრავალფეროვნების შეფასებისა ან ბუნებრივი რესურსების მართვის საკითხებში და იცნობდეს მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვით და სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკას/ სტანდარტებს).
- **გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების/ რუკაზე დატანის სპეციალისტი** (უნდა ჰქონდეს არანაკლებ 5 წლის გამოცდილება რუკაზე დატანის და გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემების ტექნიკის სფეროში).

სხვა სახის ექსპერტული ცოდნა, რაც კონკრეტული პრობლემური გეგმის/პროგრამის გასაანალიზებლად შეიძლება გახდეს უპრიანი, საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილი იქნება ექსპერტის მიერ კომპეტენტური ორგანოების, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციისა და მსოფლიო ბანკის მოთხოვნის საფუძველზე.

გუნდის ყველა წევრის სამუშაო ენა იქნება ინგლისური ენა და მინიმუმ, სოციალური/ დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის სპეციალისტის სამუშაო ენა იქნება შესაბამისი ქვეყნის ეროვნული ენა.

## **8. შედეგები და სამუშაო გეგმა/გრაფიკი**

კონსულტანტი ჩაატარებს სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების კვლევას და მოამზადებს შემდეგ ძირითად შედეგებს:

- სამუშაოების მოცულობის შეფასების ანგარიშის პროექტი სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასებისათვის
- სამუშაოების მოცულობის შეფასების ანგარიშის საბოლოო ვერსია
- სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების ანგარიშის პროექტი
- სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების ანგარიშის საბოლოო ვერსია

ყველა ანგარიში მომზადდება ინგლისურ და ეროვნულ ენებზე (იმ ქვეყნის ენაზე, რომლისთვისაც მზადდება სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება ეროვნული საინვესტიციო გეგმისათვის). ანგარიში განხილული იქნება ეროვნული კომპეტენტური ორგანოების, შავი ზღვის თანამშრომლობის ორგანიზაციისა და მსოფლიო ბანკის მიერ. ანგარიშების დასამტკიცებლად კონსულტანტის მიერ შეტანილი იქნება აუცილებელი შესწორებები. გარდა ამისა, ანგარიშების პროექტები განხილული იქნება დაინტერესებულ პირთა კონსულტაციების დროს და ამ კონსულტაციებიდან მიღებული წინადადებები/ გამოხმაურებები საჭიროებისამებრ გათვალისწინებული იქნება საბოლოო ანგარიშებში.

კონსულტანტი ვალდებულია დოკუმენტის სამუშაო ვერსიის ხარისხის ასამაღლებლად ჩაატაროს ყველა კვლევა, მიიღოს ზომები ანგარიშებისა და კვლევების გასაუმჯობესებლად, მიაწოდოს ინფორმაცია ყველა შედეგის შესახებ დამკვეთ უწყებას და იმ დაინტერესებულ მხარეებს, რომლებსაც საჭიროებისამებრ ექნებათ დამსაქმებლის მხრიდან თანხმობა მიღებული.

სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების სამუშაო გეგმა უნდა მისდევდეს იმ გეგმის სამუშაო გეგმას, რომლისთვისაც თავად სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება იქნება მომზადებული. ეს გამოწვეულია იმით, რომ ზემოქმედების შესაფასებლად საგნობრივი გეგმის შემუშავებამ გარკვეულ სტადიას უნდა მიაღწიოს. ამ შემთხვევაში სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების კვლევის საერთო ხანგრძლივობა გეგმის შემუშავების პარალელური იქნება.

ძირითადი შედეგების გარდა, სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების კვლევის საერთო ხანგრძლივობიდან გამომდინარე, საჭირო იქნება შუალედური ანგარიშების წარდგენა და დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული საჯარო განხილვის ოქმები. გარდა ამისა, საჭიროებიდან გამომდინარე, ჩატარდება კონსულტანტის შეხვედრები დამკვეთ/კონტრაქტორ ორგანოსთან, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციასთან და მსოფლიო ბანკთან.

ზოგადად, სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების კვლევა შემდეგი გრაფიკის მიხედვით ჩატარდება:

- |  |  |
|--|--|
| <ul style="list-style-type: none"> <li>• სკოპინგის ანგარიშის პროექტი<br/>სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასებისათვის</li> </ul> | <p>სამუშაოს დაწყებიდან 2 თვის ვადაში</p>   |
| <ul style="list-style-type: none"> <li>• სკოპინგის ანგარიშის საბოლოო ვერსია</li> </ul>   | <p>დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების/ შეხვედრების დასრულებიდან 2 კვირის ვადაში</p> |
| <ul style="list-style-type: none"> <li>• სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების ანგარიშის პროექტი</li> </ul>                    | <p>სამუშაოების მოცულობის შეფასების ანგარიშის დამტკიცებიდან 6 თვის ვადაში</p>             |
| <ul style="list-style-type: none"> <li>• სტრატეგიული გარემოსდაცვითი და</li> </ul>  | <p>დაინტერესებულ მხარეთა კონსულტაციების</p>  |

სოციალური  
შეფასების ანგარიშის  
საბოლოო ვერსია

დასრულებიდან 2 კვირის  
ვადაში

თავის შეთავაზებაში კონსულტანტი წარმოადგენს ყველა იმ შესასრულებელი სამუშაოს დეტალურ გეგმას, რაც ამ ტექნიკური დავალებით არის განსაზღვრული.

## დანართი 1

### სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების სკოპინგის ანგარიშის სტრუქტურის ნიმუში

შემაჯამებელი მიმოხილვა

1. შესავალი
2. სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება და სკოპინგის პროცესები
3. პოლიტიკა, სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩო
4. სტრატეგიული გეგმის აღწერა
5. მთავარი დაინტერესებული პირები და დაინტერესებულ პირთა ანალიზი
6. ძირითადი გარემოსდაცვითი და სოციალური ასპექტების აღწერა, რომელსაც სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების კვლევაში იქნება განხილული
7. გარემოსდაცვითი და სოციალური საწყისი მონაცემების მოცულობის აღწერა, რომელიც სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების კვლევისათვის იქნება მომზადებული
8. ზემოქმედების დადგენა და შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების კვლევაში იქნა გამოყენებული
9. სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების კვლევის ვადები  
გამოყენებული ლიტერატურა

დანართები

- ა. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მეთოდოლოგია
- ბ. მონაწილე ან კონსულტაცია გავლილი დაინტერესებულ მხარეთა სია
- გ. განხილული დოკუმენტების სია



## დანართი 2

### სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების კვლევის ანგარიშის სტრუქტურის ნიმუში

შემაჯამებელი ანგარიში

1. შესავალი
  - 1.1. საკითხის ისტორია
  - 1.2. შეფასების ამოცანები
  - 1.3. მიდგომა
  - 1.4. ანგარიშის სტრუქტურა
  - 1.5. ერთობლივი დიალოგისა და ანალიზის პროცესი
2. პოლიტიკა, სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩო
  - 2.1. ეროვნული პოლიტიკა, სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩო
  - 2.2. ინსტიტუციური როლები და პასუხისმგებლობები
  - 2.3. საზოგადოების მონაწილეობისა და კონსულტაციის მექანიზმები
  - 2.4. მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური ჩარჩო
3. სტრატეგიული გეგმის აღწერა
  - 3.1. ამოცანები
  - 3.2. მოცულობა
  - 3.3. ალტერნატიული ვარიანტები
  - 3.4. კავშირი შესაბამის პოლიტიკასთან და სხვა გეგმებთან
4. გარემოსდაცვითი და სოციალური საწყისი მონაცემების დახასიათება
  - 4.1. მონაცემთა შეგროვების მეთოდოლოგია
  - 4.2. ფიზიკური გარემო
  - 4.3. ბიოლოგიური გარემო
  - 4.4. სოციალური გარემო
  - 4.5. მომავალი გარემოსდაცვითი და სოციალური ფაქტორების მოსალოდნელი მახასიათებლები „გეგმის უქონლობის“ შემთხვევაში
5. პოტენციური გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების გავლენის შეფასება და შემარბილებელი ზომები
  - 5.1. შეფასების მეთოდოლოგია
  - 5.2. ძირითადი გარემოსდაცვითი და სოციალური პრობლემები
  - 5.3. ფიზიკური გარემო
  - 5.4. ბიოლოგიური გარემო
  - 5.5. სოციალური გარემო

6. ალტერნატიული ვარიანტების ანალიზი
  - 6.1 შეთავაზებული აქტივობების ალტერნატიული ვარიანტები
  - 6.2 ზემოქმედების შემარბილებელი ზომების ალტერნატიული ვარიანტები და ინსტიტუციური განვითარების/ტრენინგის საჭიროება
  - 6.3 უმოქმედობის ალტერნატივა
7. კონსულტაციების დაინტერესებულ მხარეებთან
8. გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების მონიტორინგი
9. დასკვნები და რეკომენდაციები
  - 9.1 ძირითადი დასკვნების შეჯამება
  - 9.2 გეგმაში ჩასართავი ღონისძიებების რეკომენდაციები
  - 9.3 ლურჯი ეკონომიკა და რეგიონული გამოწვევები
  - 9.4 წარმატების კრიტიკული ფაქტორები

გამოყენებული ლიტერატურა

დანართები

- დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების შინაარსი და ოქმები
- გარემოსდაცვითი და სოციალური პრობლემების მატრიცა და რეკომენდაციები
- ინფორმაციის ტექნიკური დეტალები